

წმინდა ასურელ მამათა ღვანლისადმი მიძღვნილი
ჰაგიოგრაფიული ციკლის ისტორიის ძირითადი ფაქტები

1. შესავალი

ქართველთა გაქრისტიანება საუკუნეებში განფენილი პროცესია, რომელიც სათავეს მოციქულთა ეპოქიდან იღებს. IV საუკუნის 30-იან წლებში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებით ეს პროცესი არ სრულდება, ის საკმაო ინტენსივობით შემდეგაც გრძელდება. განსაკუთრებულ ეტაპს აღნიშნული პროცესის განვითარებაში წარმოადგენს ასურეთიდან¹ საქართველოში წმ. იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით მოსულ მისიონერთა მოღვაწეობა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით ამ ფაქტს ქართლის

¹ ქართულ წყაროებში ქრისტიან მისიონერთა ეს გუნდი მოიხსენიება როგორც „წმინდა ასურელი მამები“. სპეციალურ ლიტერატურაში კი მათ ხან ასევე უწოდებენ, ხანაც „წმინდა სირიელ მამებს“, რადგან მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ ტერმინ „ასურეთის“ ქვეშ „სირია“ იგულისხმება. მაგრამ ეს გაიგივება, როგორც ირკვევა, პრობლემატურია (ლიმინგი, *არქიტექტურა და ასკეტიზმი*, გვ. 9-17). თუ ზოგადად ვიტყვით, წყაროებში აღნიშნული ხორონომები, მართლაც, გამოიყენებოდა სინონიმებად, თუმცა ყოველთვის ეს ასე არ იყო და „ასურეთსა“ და „სირიას“ მკაფიოდ განასხვავებდნენ (ანდრადი, *ასურელები, სირიელები*, გვ. 299-317). ჩვენს შემთხვევაში წყარო გვაძლევს დაკონკრეტების საშუალებას: წმინდა მამები შუამდინარეთიდან ანუ მესოპოტამიიდან გამოემგზავრნენ ქართლში. აღნიშნულ ფაქტზე ყურადღება გაამახვილა ვ. გოილაძემ და მიუთითა, რომ წმინდა მამების თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილი უნდა ყოფილიყო არა ზღვისპირა სირია, არამედ ჩრდილოეთ შუამდინარეთი ანუ მესოპოტამია. მანვე აღნიშნა ისიც, რომ ანტიოქიის სახელწოდების მქონე ქალაქი, რომელზედაც საუბარია ქართულ წყაროებში, დასტურდება არამარტო სირიაში მდ. ორონტზე, არამედ შუამდინარეთშიც ანუ ასურეთშიც. იხ. გოილაძე, *ასურელ მამათა სამშობლო*, გვ. 139-180. ზოგჯერ ამ საკითხს ანუ წმინდა მამების თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილის განსაზღვრას უკავშირებენ მისიონერთა ეთნიკური კუთვნილების საკითხს. ვ. გოილაძესათვის, მაგალითად, მის მიერ წმინდა მამების სამშობლოს შუამდინარეთთან გაიგივება ხელს უწყობს დასკვნას მათი ქართველობის შესახებ, თუმცა არაერთ მკვლევარს ხსენებულ მისიონერთა ეთნიკურ წარმომავლობასთან და ასურეთის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები აქვს (ალექსიძე, *ასურელ მამათა დედაენა*, გვ. 212-215; მერკვილაძე, *ასურელი მამები*, გვ. 159-188; ჰაასი, *იოანე ზედაზნელი და სირიული ასკეტიზმი*, გვ. 95-99).

მოქცევიდან მეორესა წელს ანუ დაახლოებით VI საუკუნის შუა ხანებში ჰქონდა ადგილი.¹

აღნიშნულ მისიონერთა მოღვაწეობის მიმართ სპეციალისტთა ინტერესი დიდია. პრობლემის მეცნიერული შესწავლის ისტორია, რომელიც რამდენიმე ათეულ წელს ითვლის, წარმოადგენს ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით, ლიტერატურათმცოდნეობით, ფილოსოფიურ ძიებათა ფართო სპექტრს.²

მრავალმხრივი კვლევისათვის საფუძველს ქმნის ის გარემოება, რომ ჩვენამდე მისიონერთა ცხოვრების ამსახველმა არაერთმა ძეგლმა მოაღწია. თუმცა იგივე ანუ მასალის სიუხვე, პრობლემათა წინაშეც აყენებს მკვლევართ. ზოგჯერ ციკლის ცალკეული რედაქციები განსხვავებულ მონაცემებს გვანვდის. ეს კი ართულებს ისტორიული ფაქტების დადგენის ამოცანას. ამიტომ ისტორიული რეპრეზენტაციის დაწყებამდე, ვფიქრობ, აუცილებელია ციკლის ისტორიის აღდგენა და ცალკეული ტექსტების ჰერმენევტიკული ანალიზი. ამ მხრივ არაერთი საგულისხმო ნაბიჯი უკვე გადადგმულია, თუმცა მთლიანი სურათის რეკონსტრუქცია კვლავ დღის წესრიგში რჩება.

წინამდებარე სტატია სწორედ ამ მიზანს ისახავს. მასში განვიხილავ რამდენიმე ძეგლს, რომელთა საშუალებით ვახასიათებ ციკლის განვითარების უმთავრეს ეტაპებს.

წარმოდგენილი კვლევა ასახავს 1996 წლით დათარიღებული ჩემი სადოქტორო დისერტაციის³ ერთ-ერთ შედეგს. დისერტაციის შესაბამისი ნაწილი სრულად არასოდეს გამოქვეყნებულა. დაიბეჭდა მხოლოდ ორიოდე ფრაგმენტი.⁴ ჩემი სადოქტორო დისერტაციით, მიუხედავად იმისა, რომ ის ხელმისაწვდომია (ინახება საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკაში) საკითხზე მომუშავე ყველა მკვლევარმა არ ისარგებლა. ამ მიზეზით განსახილველი ჰაგიოგრაფიული ციკლის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევის შედეგად ორ ათეულ წელზე მეტი წლის წინ ჩემ მიერ მიღებული დასკვნები სამეცნიერო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილია. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ გადამაწყვეტინა დისერტაციის შესაბამისი თავის ერთი

¹ აღნიშნულ თარიღს მე განვსაზღვრავ ძალიან მიახლოებით. ისტორიული საკითხების კვლევას არც სხვა შემთხვევებში ჩავუღრმავებდი, რათა ამ გამოკვლევას შევეუნარჩუნო მკაფიო წყაროთმცოდნეობითი ფოკუსი.

² ციკლის ისტორიისათვის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს ეხებოდა არაერთი მკვლევარი. მე აქ ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს ანბანური რიგით: ი. აბულაძე, ზ. ალექსიძე, მ. ბროსე, ე. გაბიძაშვილი, ვ. გოილაძე, კ. კეკელიძე, შ. მათითაშვილი, ბ. მარტინ-იზარი, ლ. მენაბდე, დ. მერკვილაძე, ზ. სხირტლაძე, ი. ჯავახიშვილი, ა. ჯაფარიძე, ქ. ჰაასი და სხვ.

³ ჩხარტიშვილი, *ქართული ჰაგიოგრაფიის ანალიზი*, გვ. 122-156.

⁴ ჩხარტიშვილი, *წმ. იოვანე ზედაზნელი*, გვ. 120-126; ჩხარტიშვილი, *წმ. აბიბოს ნეკრესელი*, გვ. 127-131; იხ. აგრეთვე ასურელი მოღვაწეების ცხოვრებათა ციკლის ისტორიისადმი მიძღვნილი ამავე ავტორის სხვა გამოკვლევებიც: ჩხარტიშვილი, *წმ. დავით გარეჯელი*, გვ. 136-145, 290; ჩხარტიშვილი, *საქართველოს ეკლესიის წმინდანები*, გვ. 36-47.

მონაკვეთი სათანადო გადამუშავების შემდეგ სტატიის სახით გამოქვეყნებინა. საკვალიფიკაციო ნაშრომში მე საუბარი მქონდა მთლიან ჰაგიოგრაფიულ ციკლზე. ამჯერად ამ ციკლის რამდენიმე ტექსტს განვიხილავ მხოლოდ. მოხმობილი მასალა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ დავადგინოთ ციკლის ისტორიის უმთავრესი ფაქტები.

კონკრეტულად შევეხები წმ. იოანე ზედაზნელის „ცხოვრების“ სამ რედაქციას, წმ. აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობის“ ორ რედაქციას, წმ. შიო მღვიმელის „ცხოვრების“ ერთ რედაქციას.

აქ წარმოვადგენ ამ ტექსტების შესახებ მოკლე ინფორმაციას, რათა მკითხველისათვის იოლი გახდეს მათი იდენტიფიცირება გამოცემების მიხედვით.

1. „ცხოვრებად წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისაჲ, რომელი ბრძანებითა და წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლად ათორმეტთა მონაფეთა მისთა თანა. განაახლა და განავრცო წმიდამან (მამამან) ჩუენმან ქრისტეს მიერ არსენი“. ამ რედაქციამ მოაღწია ერთადერთი ბოლონაკლული ნუსხით. გამოცემულია.¹ თარგმნილია გერმანულ ენაზე.² მოიხსენიებენ როგორც ვრცელ რედაქციას, ანასეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს, მეტაფრასულ რედაქციას, ინტერპოლირებულ „ცხოვრებას“. ვუნოდოთ მას Z₁ ტექსტი.

2. „ცხოვრებად და მოქალაქეობად წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისა და მონაფეთა მისთაჲ, რომელთა განანათლეს ქუეყანა ესე ჩრდილოეთისაჲ. ხოლო აღწერა არსენი კათალიკოსმან, სარგებელად რომელნი ისმენდნენ“. რედაქცია მოღწეულია რამდენიმე ნუსხით. გამოცემულია.³ თარგმნილია ფრანგულ ენაზე.⁴ ზოგი მკვლევარი მას მოიხსენიებს როგორც არქეტიპს, ზოგი - როგორც მოკლე სვინაქსარული ტიპის ძეგლს, ზოგი - „იოანე-შიოს“. ვუნოდოთ მას Z₂ ტექსტი.

3. „ცხოვრებად წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაზნელისაჲ, რომელი ბრძანებით ღმრთისაჲთა და წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლისაჲდ ათორმეტთა მონაფეთა მისთა თანა. განაახლა და განავრცო წმიდამან მამამან ჩუენმან ქრისტეს მიერ

¹ აბულაძე, *ძველი რედაქციები*, გვ. 2-58 (ეს რედაქცია ამ გამოცემაში აღნიშნულია C ლიტერით). აბულაძე, *ძეგლები I*, გვ. 191-216 (ეს რედაქცია ამ გამოცემაში აღნიშნულია C ლიტერით).

² პეჩი, *სირიელი მამები*, გვ. 159-175.

³ კაკაბაძე, *არქეტიპები*, გვ. 19-36; ყუბანეიშვილი, *ქრესტომათია*, გვ. 157-159; აბულაძე, *ძველი რედაქციები*, გვ. 2-141 (აღნიშნულია F ლიტერით). *ძეგლები I*, გვ. 191-229 (ეს რედაქცია ამ გამოცემაში აღნიშნულია F ლიტერით).

⁴ მარტინ-იზარი, *წმინდა სირიელი მამები. დანართი*, გვ. 92-110.

ქართლისა კათალიკოსმან არსენი“. რედაქცია მოღწეულია რამდენიმე ნუსხით. გამოცემულია.¹ სპეციალურ ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც მეტაფრასული რედაქცია. ვუნოდოთ მას Z₃ ტექსტი.

4. „წმიდისა მღვდელმონამისა აბიბოს ნეკრესელი ეპისკოპოსისა, რომელი იწამა ცეცხლისმსახურთა მიერ ქართლს. თქუმული არსენი დიდისა ქართლისა კათალიკოსისაა“. ძეგლმა ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე ხელნაწერით. გამოცემულია.² თარგმნილია გერმანულ ენაზე.³ მოიხსენიებენ როგორც ვრცელ რედაქციას, მეტაფრასულს.⁴ ვუნოდოთ მას N₁ ტექსტი.

5. „მოქალაქობად და წამებად (წმიდისა ა)ბიბ(ო) ნეკრესელი ეპისკოპოსისაა“. ძეგლმა ჩვენამდე მოაღწია ერთადერთი ნაკლები ნუსხით. გამოცემულია.⁵ თარგმნილია ფრანგულ ენაზე.⁶ სპეციალურ ლიტერატურაში მოიხსენიება როგორც მომცრო, მოკლე ან არქეტიპული, აბიბოს I რედაქცია. ვუნოდოთ მას N₂ ტექსტი.

6. „ცხოვრებად და საკრველებანი წმიდისა და ნეტარისა შიოძსნი, რომელი იყო ანტიოქიადთ შუამდინარისადათ, ხოლო მოინია ქუეყანად ქართლისა და დაემკვდრა სარკინისა მღვმესა, რომელი-ესე აღწერა ღირსმან მარტკრი, რომელსა ეწოდა იოვანე, რომელი იყო მონაფეთაგანი წმიდისა იოანესა კოსტანტინეპოლით“. ძეგლმა ჩვენამდე მოაღწია არაერთი ხელნაწერით. გამოცემული⁷ სპეციალურ ლიტერატურაში მოიხსენიება მეტაფრასული რედაქციის სახელით. ვუნოდოთ მას S₁ ტექსტი.

¹ საბინინი, *საქართველოს სამოთხე*, გვ. 193-203; აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 83-107.

² საბინინი, *საქართველოს სამოთხე*, გვ. 213-216; აბულაძე, *ძველი რედაქციები*, გვ. 188-196 (ეს რედაქცია ამ გამოცემაში აღნიშნულია C ლიტერით).

³ პეჩი, *მოთხრობა სირიელ მამებზე*, გვ. 313-318.

⁴ როგორც ირკვევა, N₁ რედაქციასთან ახლოს მდგომია Sin-50 ხელნაწერში დაცული ტექსტი. ალექსიძე, *ახალი აღმოჩენები*, ხელნაწერის Sin. Geo. N. 50; ალექსიძე, *აბიბოს ნეკრესელი*, გვ. 12-29. მე ვფიქრობ, შესაძლებელია, რომ ეს უკანასკნელი განვიხილოთ, როგორც N₁ რედაქციის ერთ-ერთი ტექსტი.

⁵ ჯანაშვილი, *აღწერა*, გვ. 25-28; კაკაბაძე, *არქეტიპები*, გვ. 42-46. აბულაძე, *ძველი რედაქციები*, გვ. 188-195 (ეს რედაქცია ამ გამოცემაში აღნიშნულია F ლიტერით). აბულაძე, *ძეგლები I*, გვ. 240-247 (ეს რედაქცია ამ გამოცემაში აღნიშნულია F ლიტერით).

⁶ მარტინ-იზარი, *წმინდა სირიელი მამები, დანართი*, გვ. 76-80.

⁷ აბულაძე, *ძველი რედაქციები*, გვ. 69-141; საბინინი, *საქართველოს სამოთხე*, გვ. 219-252; აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 107-170; სხირტლაძე, *ძველი ნუსხა*, გვ. 67-122.

2. არსენისეული ვერსია

„ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ჩანართში არის ციკლის ისტორიისათვის საყურადღებო ცნობა იმის შესახებ, რომ ასურელ მისიონერთა ქართლში მოსვლიდან 420 წლის გასვლის შემდგომ, ე. ი. დაახლოებით X საუკუნის შუა ხანებში მათი მოღვაწეობის ფაქტები გამოიკითხა და გამოიძია არსენ კათალიკოსმა.¹

მართლაც, როგორც ვნახეთ, განსახილველ ჰაგიოგრაფიულ ციკლში ვხვდებით რამდენიმე ტექსტს, რომლის ავტორად არსენ კათალიკოსია დასახელებული. მაგალითად, ასეთია წმ. იოანე ზედაზნელის „ცხოვრების“ სამი რედაქცია: Z_1 , Z_2 , Z_3 და წმ. აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობის“ ერთი რედაქცია N_1 .

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

Z_1 იწყება წერილით დამკვეთისადმი. ირკვევა, რომ ზედაზნის მონასტრის წინამძღვარს მიქაელს წერილით უთხოვია არსენისათვის წმ. იოანეს ღვანლის აღწერა. მიქაელს თავისი წარგზავნილისათვის თხოვნის ბარათის გარდა გაუტანებია „ქარტად წულილიც“ ანუ წმ. იოანეს შესახებ დეტალური მონაცემების შემცველი ტექსტი. ამის დამატებით ზოგი რამ არსენს თავადაც მოუძიებია, გამოუკითხავს წმ. იოანეს მოწაფეების შესახებაც და ასე შექმნილა მისი ნაშრომი.²

Z_2 ტექსტს ამგვარი წერილი არ უძღვის წინ. იგი იწყება პირდაპირ: „ესე ნეტარი მამად ჩუენი იოვანე იყო ქუეყანადთ შუამდინარით“.

მიუხედავად ამ სხვაობისა, სრულიად აშკარაა, რომ Z_1 და Z_2 გენეტურად ახლოს მდგომი ტექსტებია: ისინი შეიცავენ ერთნაირად დაკავშირებულ იდენტურ ეპიზოდებს. სხვაობა შეეხება მხოლოდ სტილს; პირველი ტექსტის ავტორი არ ფარავს ემოციებს, ენაწყლიანია, ამის გამო ზოგჯერ მის მიერ გამოთქმული აზრი ბუნდოვნადაც კი შეიძლება მოეჩვენოს თანამედროვე მკითხველს. მეორეში ფრაზები ლაკონიურია, ნათქვამი უფრო ცხადია, უფრო ადვილად გასაგებია თანამედროვე მკითხველისათვის. „თანამედროვე მკითხველს“ საგანგებოდ ვუსვამ ხაზს: Z_1 ტექსტი გაუგებარი კი არ გახლავთ, არამედ იმის გამო, რომ იგი უფრო მხატვრულია, შედარებით ძნელად აღსაქმელი შეიძლება აღმოჩნდეს მათთვის, ვინც ძველი ლიტერატურის ნიმუშების კითხვაში განაფული არ არის.

რომ შევაჯამოთ: Z_1 და Z_2 ტექსტები სტილისტურად განსხვავებული, მაგრამ იდენტური სტრუქტურის ძეგლებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია, რომ Z_2 საშუალებით აღვადგინოთ (მოვიაზროთ) Z_1 ტექსტის დაკარგული ნაწილი.

¹ ყაუხჩიშვილი, *ქართლის ცხოვრება*, გვ. 208.

² აბულაძე, *ძეგლები I*, გვ. 191-192.

Z₁ რედაქციის ნაკლული ტექსტი წყდება იმ ეპიზოდზე, რომელშიც წმ. იოანესთან სნეულთა მიყვანის შესახებ არის საუბარი. Z₂ რედაქციაში ეს ეპიზოდი სრულად არის წარმოდგენილი. ყოველივე ამას მოსდევს წმ. იოანეს ცხოვრებისათვის ამჟამად შემაჯამებელი ადგილი და ჰაგიოგრაფი მისი მონაფეების შესახებ საუბარსაც გვპირდება.¹

მართლაც, ამის შემდეგ იწყება წმ. შიოსა და წმ. ევაგრეს „ცხოვრება“. აქ წმ. ისე წილკნელის შესახებაც არის საუბარი, მოხსენიებულია სხვა მონაფეებიც და აღწერილია წმ. იოანეს გარდაცვალება.

კ. კეკელიძე მიუთითებდა, რომ წმ. შიოსა და წმ. ევაგრეს „ცხოვრების“ ის რედაქცია, რომელიც წმ. იოანეს ღვანლის აღწერის შემდგომ არის წარმოდგენილი Z₂ ტექსტში (ვუნოდოთ წმ. შიოსა და წმ. ევაგრეს „ცხოვრების“ ამ რედაქციას S_z ტექსტი) ძველი ავტორის მიერ გააზრებული ჩანს წმ. იოანეს „ცხოვრების“ ორგანულ ნაწილად.² ამ შეხედულებას ეთანხმება ე. გაბიძაშვილი, რომელიც მართებულად ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ წმ. იოანეს გარდაცვალების ეპიზოდი S_z ტექსტის ბოლოშია მოქცეული. მთელი ეს მასალა (ანუ წმ. იოანეს „ცხოვრება“ დამატებული წმ. შიოსა და წმ. ევაგრეს „ცხოვრება“) ერთიანობაში გააზრებული რომ არ ყოფილიყო, ამგვარი რამ შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ჰაგიოგრაფიული თხზულება წარმოუდგენელია წმინდანის გარდაცვალების ფაქტის აღნიშვნის გარეშე.³

მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს Z₁ და Z₂ ტექსტების გენეტური ურთიერთმიმართება. კ. კეკელიძის თვალსაზრისით, პირველადია Z₂, ხოლო Z₁ რედაქცია Z₂ რედაქციისაგან მომდინარე მეტაფრასული თხზულებაა. მკვლევარი თვლიდა, რომ Z₁ ტექსტისათვის ნამძღვარებულ დამკვეთის წერილში ნახსენებ „ქარტად წულილში“ იგულისხმება სწორედ Z₂ ტექსტი.

ამ საკითხზე საპირისპირო შეხედულების იყო ი. აბულაძე, რომელიც Z₂ რედაქციის შესავალ ნაწილში ავტორის მოუხსენიებლობას (როგორც ითქვა, ის პირდაპირ იწყება, დამკვეთის წერილი მას წინ არ უძღვის) იმის დასტურად მიიჩნევდა, რომ ეს ტექსტი, Z₁ ტექსტისაგან განსხვავებით, ავტორის ხელიდან არ გამოსულა.⁴

ორივე ამ პოზიციას ჰყავს მხარდამჭერები. მაგალითად, ე. გაბიძაშვილი იზიარებს უკანასკნელად აღნიშნულს. ბ. მარტინ-იზარს კი გენეტური ხაზი Z₂ რედაქციიდან Z₁ რედაქციისაკენ მიმართულად წარმოუდგენია.⁵

¹ აბულაძე, *ძეგლები I*, გვ. 216-217.

² კეკელიძე, *სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ*, გვ. 21.

³ გაბიძაშვილი, *ე. წ. არქეტიპები*, გვ. 63.

⁴ კეკელიძე, *სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ*, გვ. XVI.

⁵ მარტინ-იზარი, *ცამეტი წმინდა სირიელი მამა*, გვ. 158.

მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში გასაზიარებელია ი. აბულაძის პოზიცია. ჩემი აზრით, Z_2 რედაქციის სტილისტური სისადავე იმით კი არ არის გამოწვეული, რომ ის პირველადი ტექსტია, არამედ იმით, რომ მისი შემქმნელი რედაქციულ სამუშაოს ატარებს უკვე არსებული ძეგლის მიმართ. მასალის შეკრების და თხზულებაში მისი რაციონალური განაწილების ამოცანის სიმძიმე მას არ აწევს. აქედან გამომდინარე, მისი მთავარი ამოცანა სტილის სისადავეზე ზრუნვაა.

ამასთან, Z_2 ტექსტის გაიგივება „ქარტად ნულილთან“ შეუძლებელია. Z_1 ტექსტის შესავალში ავტორი თავის სამუშაოს ოქროს მარცვლებიდან ჭურჭლის შექმნას ადარებს. ანუ აშკარაა, რომ ეს ავტორი მასალას თავად კრებდა და ცალკეულ მონაცემებს ერთმანეთთან თავად აკავშირებდა. როგორც ირკვევა, ზემოთ აღნიშნული ცნობით, სწორედ ამგვარად იმუშავა არსენ კათალიკოსმა, რომელმაც დამკვეთის მიერ მოძიებული და მის მიერ შეკრებილი მასალა გააერთიანა. შესაბამისად, Z_1 არის თავდაპირველი ტექსტი.

არსენის სახელით ზედწარწერილი Z_3 ტექსტი მეტაფრასული „ცხოვრებაა“. იგი იწყება შესავლით, თუმცა ეს შესავალი Z_1 რედაქციის შესავლისაგან ძალიან განსხვავდება. ერთ-ერთი განმასხვავებელია ის, რომ აქ არაა ავტორის ეპისტოლე დამკვეთისადმი.

განსხვავებულია აღნიშნული რედაქციების ძირითადი ნაწილებიც: მიუხედავად იმისა, რომ Z_3 ტექსტი საკმაოდ ვრცელია, იგი არ აშუქებს წმ. შიოსა და წმ. ევაგრეს მოღვაწეობას. მწერალს თავისი სათქმელი მხოლოდ წმ. იოანეთი შემოუფარგლავს, დანარჩენი მონაფეები თითო ფრაზით ჰყავს მოხსენიებული, ისიც ყველა არა. წმ. იოანეს მიერ განხორციელებულ კურნებათა აღწერის შემდგომ პირდაპირ გადადის წმინდანის გარდაცვალების აღწერაზე. მიუხედავად ამგვარი განსხვავებებისა, მაინც აშკარაა, რომ შეუძლებელია Z_3 ტექსტი სხვა ნაწარმოებად მივიჩნიოთ. თხრობის მიმდინარეობა მაინც Z_1 და Z_2 რედაქციების მსგავსია. ანუ Z_3 ტექსტიც წმ. იოანეს „ცხოვრების“ ერთ-ერთი რედაქციაა.

„და არცალა მშობელთა მისთა ვინაობად და რომელისობად სახელისა გკსნავიეს, თუ ვიენი იყუეს და რომელთაგან შთამომავალნი. გარნა მხოლოდ ესე მოცემულ არს ჩუენდა უწინარესვე აღმწერელთაგან ცხოვრებისა მისისათა, ვითარმედ ქუეყანით შუამდინარისაჲთ მოაქუნდა ჯორციელი ნათესაობა“¹, ვკითხულობთ Z_3 რედაქციაში.

ი. აბულაძის აზრით, აღნიშნული მიუთითებს, რომ Z_3 რედაქციის შექმნის დროისათვის ცნობილი იყო წმ. იოანეს „ცხოვრების“ ერთზე მეტი რე-

¹ აბულაძე, ძეგლები III, გვ. 85.

დაქცია, რახან „აღმწერელნი“ მრავლობითშია. მისივე შეხედულებით, Z_3 მომდინარეობს Z_2 რედაქციისაგან.¹ ასევე ფიქრობს ბ. მარტინ-იზარი.² ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ, მართლაც, შესაძლებელია ფაქტების მოხმობა, თუმცა გადაჭრით მტკიცება, ჩემი აზრით, არ არის მართებული, რადგან Z_1 და Z_2 რედაქციები, როგორც უკვე აღინიშნა, სტრუქტურულად საკმაოდ ახლოს მდგომი თხზულებებია. მათ ერთმანეთისაგან მხოლოდ სტილი განასხვავებს. ამ ნიშნის დაფიქსირება კი მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება, რადგანაც, როგორც ცნობილია, მეტაფრასირება, უპირველესად ყოვლისა, სწორედ სტილის ცვლილებას ნიშნავს.

კვლავ რომ შევაჯამოთ: განხილული ტექსტები წმ. იოანეს შესახებ ერთიდაიმავე ჰაგიოგრაფიული თხზულების მოდიფიკაციებია, თუმცა სამივე ამ მოდიფიკაციის ავტორად, როგორც ვნახეთ, რატომღაც არსენ კათალიკოსია დასახელებული. ამ შემთხვევაში ბუნებრივია, კითხვები: სწორია ეს ინფორმაცია? რატომ უნდა გარჯილიყო ერთი ავტორი თხზულების სამი რედაქციის შესაქმნელად?!

ამ კითხვებზე პასუხის ძიების პროცესში ჩემი ყურადღება მიიპყრო Z_1 რედაქციის შემდეგმა ცნობამ: „ამას რად ვიტყვ, არა თუ მუნ რომელთამე საქმეთა და ცხოვრებისა მისსა გაუწყებ თქუნენ, ძმანო, არამედ რომლითა მიზეზითა მოიწია სოფელსა ამას ჩუენსა, მოგიტხრობ, ხოლო პირველი იგი ცხორებად და საქმენი იგი ამის ნეტარისად წერილ არს პირველსა მას წიგნსა და ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერად“.³

ამრიგად, არსენი თავის აუდიტორიას უზუსტებდა თუ როგორი იყო მისი ნაშრომის მიმართება წმ. იოანეს „ცხოვრების“ პროტოგრაფთან. ამ შენიშვნით ცხადი ხდება, რომ ჩვენს ხელთ არსებული რედაქციებისაგან ეს უკანასკნელი ანუ პროტოგრაფი განსხვავდებოდა ფაქტების მოცვის ქრონოლოგიით: მასში განხილული ყოფილა წმინდანის ცხოვრების დასაწყისი პერიოდი ანუ წმინდა მამის მოღვაწეობა ქართლში მოსვლამდეც. აღნიშნულიდან გამომდინარე ირკვევა ისიც თუ როგორ უნდა გავიგოთ ზემოთ აღნიშნული ცნობები არსენის ავტორობის შესახებ: როცა სხვადასხვა რედაქციის სათაურებში არსენს ავტორად ასახელებენ, აქ არ იგულისხმება ის, რომ არსენი არის კონკრეტული ტექსტის ავტორი, არამედ ის, რომ ტექსტი განეკუთვნება ციკლის არსენისეულ (შედარებით მოკლე⁴ და საეკლესიოდ საკითხავად ადაპტირებულ) ვერსიას.

¹ აბულაძე, *ძველი რედაქციები*, გვ. XXII-XXIII.

² მარტინ-იზარი, *ცამეტი წმინდა სირიელი მამა*, გვ. 158.

³ აბულაძე, *ძველები I*, გვ. 198.

⁴ აქ აუცილებელია შემდეგი დაზუსტება: როგორც ზემოთ ვნახეთ, წყაროში მითითებული იყო არსენის მიერ ტექსტების განახლებასთან ერთად მათი გავრცობა. ამ ცნობამ არ უნდა დაგვაბნიოს, როცა ვამბობთ, რომ არსენმა პროტოგრაფი შეამოკ-

ამგვარად, ნმ. იოანე ზედაზნელის ღვანლისადმი მიძღვნილ თხზულებებში უნდა გამოვყოთ რედაქციების ორი შტო. ა) თხზულებანი, რომლებშიც ნმ. იოანეს „ცხოვრება“ სრულად იყო გადმოცემული. ესაა „პირველი წიგნი“ ანუ პროტოგრაფული ვერსია; და ბ) თხზულებანი, რომლებშიც ნმ. იოანეს მოღვაწეობის აღწერა ქართლში მისი მოსვლის ამბებით იწყებოდა. ესაა არსენისეული ვერსია.

სწორედ ეს ფაქტი (ანუ ერთი და იმავე ვერსიისადმი კუთვნილება) მხედველობაში აქვთ ძველ ქართველ მწიგნობართ ზემოხსენებულ რედაქციების ატრიბუციისას.

არსენისეული ვერსიის ჩვენამდე შემორჩენილ რედაქციათა შორის ავტორის ხელიდან გამოსულ ტექსტთან ყველაზე ახლოს Z_1 რედაქცია უნდა იყოს. ამიტომ მართებულად მიმაჩნია გარკვეული მიახლოებით ვისაუბროთ Z_1 რედაქციაზე, როგორც არსენისეული ვერსიის პროტოტექსტის რეპრეზენტატორზე.

როგორც უკვე აღინიშნა, ნმ. აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობის“ ერთ-ერთი, კერძოდ, N_1 რედაქციის სათაურშიც, ავტორად დასახელებულია არსენ კათალიკოსი. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც უკვე ხსენებულ არსენ კათალიკოსთან უნდა გვქონდეს საქმე. ამგვარი იდენტიფიკაციისაკენ მიბიძგებს არა მარტო სახელის, თანამდებობის, ინტერესთა სფეროების თანხვედრა, არამედ თხრობის მანერაც, სტილიც. ნიშანდობლივია, რომ N_1 ძეგლში, ისევე როგორც Z_1 რედაქციაში, მასალის შემოკლებისას ვხვდებით მითითებას პროტოგრაფზე.¹

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტიც: Z_1 ტექსტში ნმ. აბიბოსზე საერთოდ არ არის საუბარი. ავტორი ნმ. იოანეს მონაფეთაგან ვრცლად ჩერდება ნმ. შიოს მოღვაწეობაზე, საგანგებო ყურადღებით ეკიდება ნმ. ისე წილკნელსაც, ახსენებს ნმ. თათას, ნმ. დავითს, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ ეხება ნმ. აბიბოსს. როგორც მითითებულია Z_1 ტექსტში, არსენი მასალას ამოკლებდა, მაგრამ შეუძლებელია, რომ ნმ. აბიბოსის სახელი ამ შემოკლებას გადაჰყოლოდა. საქმე ის გახლავთ, რომ ნმ. იოანეს თანაბრად ღირსებით მოსახსენიებელ მონაფეთა შორის უთუოდ გამოირჩეოდა ნმ. აბიბოს ნეკრესელი: იგი ერთადერთია ასურელ მამათა შორის, რომელმაც მონამეობრივი სიკვდილი მიიღო.² საინტერესოა, რომ უკვე ძველ ქართლში ამ წმინდანის ღვანლი საგანგებოდ იყო დაფასებული. ნმ. აბიბოსის მარტვილობას რომ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა, ამის დასტურია

ლა. არსენმა პროტოგრაფის ფაქტობრივი მონაცემები შეკვეცა, სამაგიეროდ, თავისი ნაშრომები განავრცო დიდაქტიკური მსჯელობების ხარჯზე. ამიტომ არსენის რედაქტორული მოღვაწეობა ერთდროულად შეიძლება განვიხილოთ როგორც შემოკლება და ამავე დროს გავრცობა.

¹ აბულაძე, *ძეგლები I*, გვ. 246.

² აბულაძე, *ძეგლები I*, გვ. 241-242.

თუნდ ის ფაქტი, რომ ერისმთავარ სტეფანოზ II-ის დროს წმ. აბიბოსი დაუკრძალავთ მცხეთაში, ეპისკოპოსთა პანთეონში.¹ ამიტომ ვფიქრობ, რომ წმ. იოანესადმი მიძღვნილ არსენისულ თხზულებაში წმ. აბიბოსზე დუმილი შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ არსენს სპეციალურ თხზულებაში უკვე ჰქონდა წმ. აბიბოსზე ნათქვამი და ამის გამეორება Z_1 რედაქციაში საჭიროდ აღარ ჩათვალა, რამდენადაც Z_1 მოიაზრებოდა N_1 რედაქციასთან ერთიანობაში.

ამგვარად, აღნიშნულის გათვალისწინებით, წმ. აბიბოსის მოუხსენიებლობა Z_1 რედაქციაში ირიბად იმის დასტურია, რომ N_1 სათაურში დასახელებული არსენი და წმ. იოანე ზედაზნელის „ცხოვრების“ სათაურში მოხსენიებული არსენი ერთი და იგივე პირია. ეს აზრი ადრეც იყო გამოთქმული სპეციალურ ლიტერატურაში,² ოღონდაც მამტიკიცებელი არგუმენტები არ ყოფილა სათანადოდ ჩამოყალიბებული.

ე. გაბიძაშვილი თვლის, რომ N_1 წმ. იოანესა და მისი მოწაფეების შესახებ ერთიანი ჰაგიოგრაფიული თხზულების განუყოფელი ნაწილი იყო, ისევე როგორც, მაგალითად, წმ. შიოს „ცხოვრება“ ანუ S_z ტექსტი. N_1 რედაქცია მთავრდება წმ. იოანეს მოწაფეებზე საუბრით, ორიოდ სიტყვით აქ წმ. შიოს გარდაცვალებაც არის აღწერილი. ამდაგვარი დასასრული აქვს Z_2 რედაქციასაც და, აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე დასასრული ჰქონდა Z_1 რედაქციასაც (ამ უკანასკნელს, როგორც ითქვა, ბოლო ნაწილი აკლია და ამ ნაწილს Z_2 რედაქციის მეშვეობით მოვიაზრებთ). მკვლევრის აზრით, სწორედ ეპილოგების ერთგვარობა აჩვენებს, რომ Z_1 და N_1 ერთი და იმავე თხზულების ნაწილებია.³

მართლაც, Z_2 ($//Z_1$) და N_1 ერთგვარად სრულდება, მათ შორის მხოლოდ მცირეოდენი სხვაობაა.⁴ მაგრამ ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ წმ. იოანეს „ცხოვრების“ და წმ. აბიბოსის „მარტვილობის“ ავტორი ერთი და იგივე პირია, და სულაც არ ნიშნავს იმასაც, რომ ისინი მისი ერთი თხზულების ნაწილებს წარმოადგენდნენ. სწორედ რომ პირიქით: ერთი თხზულების ნაწილები რომ იყვნენ, თითქმის ერთნაირი ეპილოგების არსებობის ფაქტი გაუგებარი იქნებოდა.

ამ შემთხვევაში აშკარაა ის, რომ არსენის მიერ Z_2 ($//Z_1$) და N_1 გაიაზრებოდა თავისებურ ჰაგიოგრაფიულ დილოგიად. არსენს ჯერ უნდა დაეწერა წმ. აბიბოსის „მარტვილობა“, მერე წმ. იოანეს „ცხოვრება“. რადგან წმ. აბიბოსზე თხზულება უკვე ჰქონდა დაწერილი, ამიტომ წმ. იოანეს ჰაგიობიოგრაფიაში წმ. აბიბოსზე აღარაფერი უთქვამს.

¹ ყაუხჩიშვილი, *ქართლის ცხოვრება*, გვ. 228-229.

² აბულაძე, *ძველი რედაქციები*, გვ. XXXI.

³ გაბიძაშვილი, *ე. წ. არქეტიპები*, გვ. 61-65.

⁴ აბულაძე, *ძეგლები I*, გვ. 147-248.

კ. კეკელიძე თვლიდა, რომ შეუძლებელია N_1 რედაქციის (მისი აზრით, მეტაფორასული თხზულების) ავტორად არათუ არსენი, საერთოდ რომელიმე კათალიკოსი დავსახოთ, ავტორი ხომ თავადვე მიუთითებსო, რომ ის ნეკრესის ეპისკოპოსიაო: „ჩემი არს მონამე ესე და არა სხვსა, ჩემისა ამისაგან საყდრისა ნაყოფი შუენიერი“.¹

N_1 რედაქციის სათაურში ავტორად არსენ კათალიკოსის მოხსენიებას კი იმით ხსნის მკვლევარი, რომ ნეკრესელი ანონიმი ეყრდნობა IX საუკუნის ავტორის არსენ დიდი საფარელის მიერ შექმნილ თხზულებას.

N_1 რედაქციის ავტორი ტექსტში, მართლაც, ნეკრესის ეპისკოპოსად წარმოგვიჩინეს თავს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნეკრესელი ეპისკოპოსი იგივე არსენ კათალიკოსი არ შეიძლება იყოს. ძნელი მისახვედრი როდია თუ ეს ინფორმაცია რას ნიშნავს: წმ. აბიბოსის „მარტვილობა“ არსენმა დაწერა მაშინ, როცა ის იყო ნეკრესის ეპისკოპოსი. მერმინდელმა რედაქტორმა კი თხზულების სათაურში არსენი მოიხსენია მისი საბოლოო და უფრო მაღალი პოზიციის აღმნიშვნელი ტიტულით.

ამგვარად, ასეთი ვითარებაა: ასურეთიდან მოსული მისიონერების მოღვაწეობით არსენი ჯერ კიდევ იმ დროს დაინტერესებულა, როცა ნეკრესის ეპისკოპოსი იყო. ლოგიკურია, რომ მისი პირველი თხზულება მის საყდართან დაკავშირებულ წმ. მამას ანუ წმ. აბიბოს ნეკრესელს მიეძღვნა. ჩანს, ამ თხზულებამ არსენს, როგორც მწერალს, აღიარება მოუპოვა, იგი ჩაითვალა ასურეთიდან მოსული მისიონის ისტორიის დარგში ექსპერტად, ამიტომაც მიიღო თხოვნა დაეწერა მისიონის მეთაურის ანუ წმ. იოანეს და მისი რამდენიმე გამორჩეული მონაფის ცხოვრებებიც.

როგორც ვთქვი, წმ. იოანეს ღვანლის აღწერას არსენი მაშინ იწყებს, როცა ის ჯერ კიდევ ნეკრესის ეპისკოპოსი გახლდათ. ამას მაფიქრებინებს ზემოთ უკვე არაერთხელ აღნიშნული Z_1 რედაქციისათვის წამძღვარებული დამკვეთის წერილის შემდეგი ნიუანსიც: ეს დამკვეთი არის ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი მიქაელი, რომელიც არსენს ისე მიმართავს, როგორც თანასწორს და უკვეთავს თხზულებას ასურელ მამებზე. არსენიც მას ისე მიმართავს, როგორც თანასწორს. ამ ფაქტზე ყურადღება პირველად გაამახვილა კ. კეკელიძემ: „მიქაელი, ზედანის წინამძღვარი, როგორც დაბალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი და ხელქვეითი კათალიკოსისა, ვერ მიმართავდა ამ უკანასკნელს, თუ გინდ თხოვნით, ესა და ეს თხზულება დაწერეო. ასეთი რამ პრაქტიკამ, კერძოდ, ქართულმა, არ იცის“.²

ეს, მართლაც, ასეა ანუ კათალიკოსს მონასტრის წინამძღვარი ვერ დაელაპარაკებოდა როგორც თანასწორს, მაგრამ წყაროს მონაცემის კ. კეკელიძისეული ინტერპრეტაცია არ არის მისი ერთადერთი შესაძლო ინტერპრეტაცია. ვითარება სავსებით გასაგები გახდება და მიქაელის მისამართით

¹ კეკელიძე, სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, გვ. 49-50.

² კეკელიძე, სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, გვ. 46.

არსენის მიერ ნათქვამი „ძმაოც“ არ მოგვეჩვენება უცნაურად, თუ დავუშვებთ, რომ, როცა მიქაელის წერილი იწერებოდა, მაშინ არსენი ნეკრესის ეპისკოპოსი იყო და არა კათალიკოსი.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასურეთიდან ქართლში მოსულ წმინდა მამათა ღვანლისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული ციკლის არსენისეული ვერსია წარმოადგენდა დილოგიას და მოიცავდა წმ. აბიბოსის „მარტვილობას“ და წმ. იოანეს „ცხოვრებას“. ამ უკანასკნელში წმ. იოანეს გარდა მის დანარჩენ მონაწევრებზეც იყო საუბარი, წმ. შიოსა და წმ. ევაგრეზე უფრო ვრცლად, რამდენიმე სხვაზე - მოკლედ. ამ ჰაგიოგრაფიული დილოგიის პირველი თხზულება არსენს, როგორც უკვე ითქვა, დაუწერია მაშინ, როცა ნეკრესის ეპისკოპოსი იყო. მეორეს წერა დაუწყია აგრეთვე ნეკრესელობის დროს, თუმც, სავარაუდოა, რომ ის დაამთავრა უკვე კათალიკოსის რანგში მყოფმა.

ჩვენი ძიებებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც თუ როგორ ასახავდა არსენისეული დილოგია თავდაპირველ რედაქციებს, რომლებზე მითითება, როგორც ითქვა, აქვს არსენისეული ციკლის პროტოტიქსტის რეპრეზენტატორ ტექსტს ანუ Z₁ რედაქციას.

უპირველეს ყოვლისა, აშკარაა, რომ პროტოგრაფიული ვერსიის რედაქციები ფაქტებით უფრო მდიდარი თხზულებები იყო. არსენი არც მალავს, რომ ის მასალას ამოკლებდა. ეს განპირობებული ჩანს მის მიერ დასახული მიზნით: მას სურდა მოეცა კომპაქტური თხრობა, ეჩვენებინა მხოლოდ ძირითადი ფაქტები და ერთიანი ისტორიული პანორამის ფონზე წარმოედგინა დიდაქტიკური თვალსაზრისები.

N₁ რედაქციაში არსენი სპეციალურად განმარტავს, რომ მკითხველს სურს აუწყოს „ვითარმე ესევეთარი ქუეყანისა ანგელოზნი ერთსა ჟამსა იყვნენ, ვითარცა ჯაჭვ ოქროდსა მოდებული ერთიერთასა“.¹ არსენი ქმნიდა ადაპტირებული, დიდაქტიკური სულისკვეთების ტექსტებს, შედარებით შეზღუდული ფაქტობრივი მონაცემებით და ვრცელი ეთიკური მსჯელობებით. ეს ტექსტები აშკარად უფრო მისანვდომი იყო მრევლისათვის. მათი ეს თვისება, ვფიქრობ, არის მიზეზი იმისა, რომ არქეტიპები ხმარებიდან გამოვიდა და დაიკარგა.

არსენს, როგორც მწერალს, ძალიან კარგად წარმოაჩენს ის წერილი, რომელიც Z₁ რედაქციისათვის არის წამძღვარებული. აღნიშნულ წერილში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მიკროტიქსტი. თავდაპირველად მწერალი საუბრობს იმ პარადოქსზე, რომელიც თან ახლავს სიტყვის არსებობას შემოქმედის შეგრძნებიდან ლიტერატურულ ქმნილებაში მის განხორციელებამდე. მსჯელობა უაღრესად დახვეწილია და ღრმა. შემდეგ ხაზგასმულია წმინდანის ღვანლის აღწერის მნიშვნელობა, სარგებლიანობა და სირთულე: „არათუ ადვილად საურავსა რასმე ვეძიებთ, არამედ სიღრმეთაგან ზღვსათა

¹ აბულაძე, ძეგლები I, გვ. 246-247.

პატიოსანთა მარგალიტთა, შრომით მოსაგებელთა გუნებაჲ ცხადად გამოჩინება“.¹

აღნიშნულ მსჯელობას მოსდევს მიმართვა დამკვეთისადმი. როგორც ითქვა, ესაა ზედაზნის მონასტრის წინამძღვარი მიქაელი. ისე ჩანს, რომ მასთან არსენს ახლომეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. აქვე ვიღებთ ინფორმაციას არსენის წყაროების შესახებაც. ეს ადგილი გვხიბლავს თავისი უშუალოებით, სახეობრიობით.

წერილის მომდევნო ნაწილში არსენი საუბრობს მწერლობის საწყისებზე. ლიტერატურული პროცესის სათავეში ბიბლიური მოსე ესახება. ეხება ბიბლიური ისტორიის საკითხებს, მსჯელობს სამების წევრებზე, მწვალელობაზე, სულიწმინდის შესახებ ნათქვამს კი მოხდენილად უკავშირებს თხრობას ძირითადი საკითხის შესახებ: „ამის სულისაგან სული სიბრძნისა და მეცნიერებისა და გულისკმისყოფისაჲ მოვედინ ჩუენ ზედა და მოეცინ პოვნად მადლი სიტყუსაჲ ენასა ჩუენსა, რადთა წმიდისა მის იოვანე ზედაზნელისათჲს ვიტყოდი უცდომელად შემკობად [...] ხოლო თქუენ განმზადენით სასმენელნი თქუენი და სარწმუნოებით შეინყნარეთ, ნუ ვითარ-მცა გესმა სათნოებაჲ ყოვლისა მის კაცისაჲ, არამედ მცირე მრავლისაგან დაყოვნებისა ჟამისაჲთა“.²

არსენი თავისი თხზულების მთავარი პერსონაჟის პირით ვრცლად მსჯელობს ვერცხლისმოყვარეობაზე, მემთვრალეობაზე, ადამიანში ანგელოსურ და პირუტყვულ საწყისთა შორის მარადიულ ურთიერთბრძოლაზე. უხვად იმონმებს წმინდა წერილს. მართებული ჩანს რ. სირაძის მოსაზრება, რომ Z₁ რედაქციაში ფაქტები გადმოცემულია არა წმინდანის ბიოგრაფიის ფაქტების რეპრეზენტაციის მიზნით, არამედ ამ ფაქტების კულტურულ-რელიგიური დისკურსის ფარგლებში განხილვის მიზანდასახულებით.³

ასეთივე მორალისტური სულისკვეთებისაა N₁ რედაქციაც.

3. პროტოგრაფული ვერსია

მაგრამ შეგვიძლია ციკლის თავდაპირველ ტექსტებზე იმაზე მეტი ინფორმაციის მოძიება, რასაც არსენისული ვერსიიდან ვიტყობთ?

ვფიქრობ, ეს შესაძლებელია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს S₁ რედაქცია, რომელიც, როგორც ვნახეთ, დასათაურებულია საკმაოდ ვრცლად. სწორედ სათაურში მოცემულია ძალიან მნიშვნელოვანი მონა-

¹ აბულაძე, *ძეგლები I*, გვ. 192.

² აბულაძე, *ძეგლები I*, გვ. 196.

³ სირაძე, *რადსთჲს ვარ*, გვ. 129-133.

ცემები. ზემოთ ეს ტექსტი მოყვანილი იყო სრულად, მაგრამ მეტი თვალსაჩინოებისათვის აქაც წარმოვადგენ: „ცხოვრებად და საკრველებანი წმიდისა და ნეტარისა შიომსნი, რომელი იყო ანტიოქიადთ შუამდინარისადთ, ხოლო მოიწია ქუეყანად ქართლისა და დაემკვდრა სარკინისა მღვმესა, რომელი-ესე აღწერა ღირსმან მარტვირი, რომელსა ეწოდა იოვანე, რომელი იყო მონაფეთაგანი წმიდისა იოანესა კოსტანტინეპოლით“.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ასურელ მამათა მოღვაწეობის აღმწერი თხზულებები შეიქმნა მათ სიცოცხლეშივე.¹ ამგვარი ტექსტების არსებობას ადასტურებდა არსენიც. აქ წარმოდგენილი სათაურის მიხედვით კი ეს ინფორმაცია დაკონკრეტებულია, ჩვენ აქედან ვიტყვობთ, რომ წმ. შიოს „ცხოვრების“ თავდაპირველი ტექსტის ანუ პროტოგრაფის აღმწერის სახელი ყოფილა მარტვირი, იგივე იოანე. საფიქრებელია, რომ ამ მარტვირ-იოანეს, წმ. იოანეს ერთ-ერთი მონაფის ანუ წმ. შიოს „ცხოვრების“ დაწერამდე შეექმნა თავად მისიონის წინამძღოლის ანუ წმ. იოანეს შესახებ თხზულება. ანუ ეს პიროვნება, როგორც ავტორი, ჩემი აზრით, უკავშირდება განსახილველი ჰაგიოგრაფიული ციკლის თავდაპირველ ტექსტებს და არა მარტო წმ. შიოს მოღვაწეობის ამსახველ ტექსტს.

ციკლის ისტორიისათვის ამ უნიკალურ ინფორმაციას რატომღაც არ იყენებენ სპეციალისტები. კ. კეკელიძე მისდამი ნდობით არ იყო გამსჭვალული: „ეს წარწერა უეჭველად ფსევდოეპიგრაფიკულია. ჯერ ერთი, იოანე ზედაზნელს, მესოპოტამიელ სირიელს, კონსტანტინოპოლელი მონაფე ვერ ეყოლებოდა, მეორე - ეს რედაქცია შიოს ცხოვრებისა, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს, არის მეტაფრასული რედაქცია, და, როგორც ასეთი, ის არ შეიძლება დაწერილი იყოს იოანე ზედაზნელის მონაფის მიერ“.²

ამრიგად, კ. კეკელიძეს მიაჩნდა, რომ „იოანე ზედაზნელის მონაფე კონსტანტინოპოლელი ვერ იქნებოდა, რადგან ყველა მისი მონაფე ან შუამდინარელი იყო ან ქართლელი, ქართლში მოპოვებული. მეორე, რაც მთავარია, შიოს „ცხოვრება“, რომელსაც ასეთი სათაური აქვს, როგორც ვთქვით, მეტაფრასული ნაწარმოებია, რომელშიც გამოყენებულია იოანე ზედაზნელის მეთავე, მეთერთმეტე საუკუნეთა „ცხოვრებანი“. წმ. იოანე ზედაზნელის მონაფე, რომელიც მეექვსე საუკუნეში ცხოვრობდა, ვერ დაწერდა მეტაფრასული ხასიათის შრომას, რადგან მეტაფრასული მიმართულება ბიზანტიაშიც კი მეთავე საუკუნის მიწურულიდან იწყება. ასე რომ საკითხი შიო მღვიმელის „ცხოვრების“ ავტორობის შესახებ ღიად უნდა დარჩეს. თხზულება დაწერილი უნდა იყოს არა უადრეს მეთორმეტე საუკუნის პირველი ნახევრისა.“³

¹ ყაუხჩიშვილი, *ქართლის ცხოვრება*, გვ. 207.

² კეკელიძე, *სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ*, გვ. 20.

³ კეკელიძე, *ლიტურატურის ისტორია*, გვ. 537.

წარმოდგენილი მსჯელობა კრიტიკულ შენიშვნებს აღძრავს. თხზულებაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ წმ. იოანე ასურეთში მცხოვრები წმ. შიოს თვალსაწიერში გამოჩნდა მხოლოდ მაშინ, როცა შიო ოცი წლის გახდა. ამ დროისათვის წმ. იოანე უკვე სახელგანთქმული მოღვაწე ყოფილა: „უამთა მათ შინა, ოდეს ღირსი შიო იქმნა ოცისა წლისა, დიდი იგი მნათობი და თუალი მოლუანეთად, ყოვლად განთქუმული იოანე, ნიშებ-შემოსილი გამოჩნდა, ვითარცა ვარსკულავი მრავალ-მნათობი, რომელი-იგი განანათლებნ ყოველთა მკჷდრთა ანტიოქიადსათა, და იყოფებდა იგი უდაბნოსა ადგილსა მრავალ მონაფეთა თანა“.¹

თუ სად მოიხვეჭა მან სახელი, ეს თხზულებაში არ არის ნათქვამი. აქედან გამომდინარე სულაც არაა გამორიცხული, რომ წმ. იოანეს მოღვაწეობა დაენყო კონსტანტინოპოლში და აქვე გაეცნო მისი მომავალი ბიოგრაფი ანუ მარტირი-იოანე, ავტორიტეტიც აქ ყოფნის პერიოდში გასჩენოდა და უკვე სახელმოხვეჭილი ჩასულიყო ასურეთში.

ახლა რაც შეეხება კ. კეკელიძის მიერ S₁ ტექსტის მეტაფრასულობის ფაქტის მოხმობას არგუმენტად. სრულიად აშკარაა, რომ კონკრეტულად ის რედაქცია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, და რომლის სათაურმაც შემოგვინახა აღნიშნული ცნობები, თხზულების გვიანდელი მოდიფიკაციაა. ამის მიმანიშნებელია თუნდ ის ფაქტი, რომ აქ ავტორისეული საწყისი ისე მკაფიო არაა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო წმ. შიოს თანამედროვის მიერ დაწერილ თხზულებაში. ავტორისეული საწყისი ამ ტექსტში იგრძნობა, მაგრამ ის მწერლის მთავარ პერსონაჟთან სიახლოვის მაჩვენებელი არაა. პირიქით, აშკარაა, რომ მწერალი ქრონოლოგიურად დაშორებულია წმ. ასურელ მამათა მოღვაწეობის ეპოქას. მაგრამ ეს გარემოება აღნიშნული ცნობის ჩვენეული განმარტების უარსაყოფად არ გამოდგება. ძნელი არაა მიხვედრა, რომ ხმა, რომელიც ისმის ტექსტში, ეპოქიდან დაშორებული ავტორის ანუ გვიანდელი მეტაფრასი რედაქტორის ხმაა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამჯერად დავკმაყოფილდები ერთი მათგანით: „ოდეს აღასრულნა ნეტარმა შიომ ოცნი წელნი სხუანი მონაზონებასა შინა, მოინია იოანესსა ბრძანება ზეგარდამო, რათა გამოირჩინეს ათორმეტნი მონაფეთაგან თჷსთა, ძლიერნი სიტყჷთა და საქმითა, და წარვიდეს ქუეყანად ქართველთა და განამტკიცნეს ერი სარწმუნოებასა ზედა, რამეთუ ახალნერგ იყვნეს მაშინ ქართველნი და ორასნი ოდენ წელიწადნი წარსრულ იყვნეს მოქცევით მათითგან“.²

აშკარად ისეთ ავტორთან გვაქვს საქმე, რომლისათვის ორასი წლის წინ მოქცევა ახალნერგობაა. აქედან გამომდინარე მისი დაშორება ასურელ მამათა მოღვაწეობის დროსთან მიმართებით ადვილად წარმოსადგენია რაოდენ დიდია.

¹ აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 110.

² აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 115.

ამგვარად, ერთი მხრივ, უეჭველია, რომ ჩვენს ხელთ არსებული S₁ რედაქცია, მართლაც, წმ. ასურელ მისიონერთა მოღვაწეობის ხანას მნიშვნელოვნადაა დაშორებული, მეორეს მხრივ, ცნობა მარტვირი-იოანეს ანუ წმ. იოანე ზედაზნელის განსაკუთრებული მონაფის და წმ. შიოს თავდაპირველი ბიოგრაფის შესახებ სრულიად ცალსახა და გარკვეულია.

როგორღა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ეს მონაფე იმ ტექსტის სათაურში მოიხსენიება, რომლის ავტორი ის არ შეიძლება იყოს? ეს შეუსაბამობა, თუ კი ის, მართლაც, შეუსაბამობაა მეტაფრას რედაქტორსაც ხომ უნდა შეენიშნა, როცა ამ ზედწერილში მარტვირი-იოანეს სახელს აღნიშნავდა?!

ზემოთ, როცა განვიხილავდით ასურელ მისიონერთა ღვაწლისადმი მიძღვნილი ციკლის არსენისეულ ვერსიას, ვნახეთ არსენის სახელით წარწერილი რედაქციები, რომელთაგან ორი მათგანის ავტორი აშკარად არსენი არ შეიძლება იყოს. ამგვარად, ცხადი გახდა, რომ სათაურში მწერლის მოხსენიება ყოველთვის როდი ნიშნავს მის მიერ კონკრეტული ტექსტის ავტორობას, არამედ მითითებას ციკლის იმ ვერსიის ავტორობაზე, რომელსაც განეკუთვნებოდა ესა თუ ის კონკრეტული ტექსტი. მარტვირი-იოანეს შემთხვევაშიც იგივე ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე: აქ რედაქტორი ხაზს უსვამს იმას, რომ მისი რედაქცია ეფუძნება ციკლის არა არსენისეულ ვერსიას, არამედ ციკლის პროტოტექსტს, რომელიც შექმნა მარტვირი-იოანემ.

ზემოთ აღნიშნული დასკვნები, როგორც ითქვა, გამოთქმული მქონდა ჯერ კიდევ ჩემს სადოქტორო დისერტაციაში. ზოგი მეცნიერის მხრიდან მათ კრიტიკა დაიმსახურეს. ქვემოთ შევხებით ამ კრიტიციზმს მოკლედ.

დ. მერკვილაძე თავის მონოგრაფიაში რამდენჯერმე ახსენებს ჩემს თვალსაზრისებს. ერთ შემთხვევაში მკვლევარი უბრალოდ საკითხის ისტორიის კვლევის კონტექსტში აღნიშნავს, რომ ჩემს დისერტაციაში მე განვახორციელე ციკლის ცალკეული რგოლების აღწერა.¹ ორ სხვა შემთხვევაში კი ჩემს თვალსაზრისს ის ეხება კონკრეტულად S₁ რედაქციასთან კავშირში. როგორც მკითხველმა უკვე ნახა, ციკლის ისტორიის აღდგენისას ამ რედაქციას მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ.

პირველ ჯერზე მკვლევარი მოკლე შენიშვნით კმაყოფილდება: „ასურელ მოღვაწეთა ‚ცხოვრებათა‘ ციკლის ჩამოყალიბება, მ. ჩხარტიშვილის შეხედულებით, დაკავშირებულია იოანე მარტვირთან, ვინაიდან მისი სახელი ფიგურირებს შიო მღვიმელის ვრცელი ‚ცხოვრების‘ სათაურში, როგორც ‚ცხოვრების‘ აღმწერი და იმავდროულად წმ. იოანეს მონაფე და ლოგიკური იქნებოდა, მას შიო მღვიმელის ცხოვრების შექმნის უადრეს აღწერა ასურელ მამათა მოძღვრის ‚ცხოვრება‘. ავტორის მტკიცებით, თუმცა იოანე მარტვირის შექმნილი ნაწარმოები, ‚თხზულების გვიანდელი მოდიფიკაციაა‘, იგი მაინც, ‚უკეთ ინახავს დედანს“.²

¹ მერკვილაძე, *ასურელი მამები*, გვ. 40.

² მერკვილაძე, *ასურელი მამები*, გვ. 14-15.

ჩემი აზრის გადმოცემისას, სამწუხაროდ, მკვლევარი არ ამბობს მთავარს: მიუხედავად გვიანდლობისა რატომ მივიჩნევ, რომ S₁ რედაქცია უკეთ ინახავს დედანს. როგორც მკითხველს ახსოვს, მე ვფიქრობ, რომ ეს რედაქცია წარმოადგენს პროტოგრაფული ტექსტის და არა არსენის ხელში გამოვლილი ტექსტის გადამეტაფრასირებას. ამიტომაც ის უკეთ ინახავს ბევრ დეტალს, რომლებიც არსენისეულ მოდიფიკაციაში ვერ მოხვდა. რაც შეეხება წმ. იოანეს „ცხოვრებას“, ცხადია, მარტვირი-იოანეს თავდაპირველად ის უნდა შეექმნა, მაგრამ ამ ტექსტს სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია; თუმცა, გამორიცხულია, რომ ის არ არსებულებოდა: როგორც ვთქვი, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებების მათ სიცოცხლეშივე შექმნის თაობაზე პირდაპირი ინფორმაციაა დაცული წყაროებში.

მონოგრაფიის ბოლო ნაწილში მკვლევარი კვლავ მსჯელობს S₁ რედაქციის შესახებ, ეხება მის სათაურსაც და მიუთითებს ამ სათაურის წყაროთმცოდნეობითი ღირებულების შეფასებაზე კ. კეკელიძის მიერ, კერძოდ, აღნიშნავს რომ კეკელიძე, კრიტიკულად ეკიდებოდა ამ ცნობას, თვლიდა, რომ ეს არის ფსევდოეპიგრაფიკული ტექსტი.¹

ამ მსჯელობას S₁ რედაქციის სათაურის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით დ. მერკვილაძე აგრძელებს ჩემი თვალსაზრისის კრიტიკით: „სამაგიეროდ ამ უწყებამ სრული ნდობა მოიპოვა მ. ჩხარტიშვილის თვალში. მასზე დაყრდნობით შესაძლებლად მიიჩნია რა, სირიაში იოანე ზედაზნელი ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქიდან ჩასულიყო, ჩვეულებრივად ესახება, მას ქართლში ჩამოჰყვოლოდა, „მონაფე, რომელიც მას დაუკავშირდა ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლში“. იქვე დასძენს: „ამ პიროვნებამ, როგორც მოძღვრისათვის ყველაზე ახლობელმა ადამიანმა, აღწერა ასურელ მამათა მოღვაწეობა ქართლში, ამ მიზნით ჩანს იგი ჩამოყვანილი“.²

დ. მერკვილაძე თვლის, რომ ჩემს ამგვარ დასკვნებს წინ ელობება სამი გარემოება.

პირველი მათგანი მის მიერ ფორმულირებულია შემდეგნაირად: „ძნელი წარმოსადგენია, წმ. იოანეს, როცა ქართლისაკენ გამომგზავრების გადწყვეტილებას იღებდა წინასწარ დაეჭირა თადარიგი საკუთარი მომავალი ღვაწლის უკვდავსაყოფად. ასეთი დამოკიდებულება არ უთავსდება ქრისტიანულ ფსიქოლოგიას. დიდი ქრისტიანი მოღვაწეები არასდროს ცდილობენ თავის განდიდებას ამგვარი გზებით. წმინდანის ცხოვრების აღწერის საკითხი, ჩვეულებრივ მისგან დამოუკიდებლად, მისი აღსრულების შემდეგ დგებოდა“.³

ზემოთ წარმოდგენილი ჩემი აზრი იმის თაობაზე, რომ მარტვირი-იოანე მისი მასწავლებლის საქმეთა აღმწერად მოიაზრებოდა თავიდანვე,

¹ მერკვილაძე, *ასურელი მამები*, გვ. 195.

² მერკვილაძე, *ასურელი მამები*, გვ. 195.

³ მერკვილაძე, *ასურელი მამები*, გვ. 195.

დ. მერკვილაძეს იმის მტკიცებად მიუჩნევია, რომ წმ. იოანე ზედაზნელს თავის განდიდების სურვილს მივანერ და ამას უპირისპირებს თავის მსჯელობას ქრისტიანისაგან ამგვარი დამოკიდებულების შეუძლებლობის შესახებ.

ვფიქრობ, „ღია კარის“ მტვრევასთან გვაქვს საქმე. აქ თავის განდიდების სურვილი არ მიგულისხმია. მხედველობაში მქონდა ის, რომ საეკლესიო მოღვაწეთათვის სრულიადაც არ იყო უცხო აზრი მათი ცხოვრების აღწერის შესახებ. ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო, მაგალითად, მონაფეებს თხოვდა, აღწერათ მისი ცხოვრება, რათა შთამომავლობას სცოდნოდა იგი.¹ ცხადია, არა განდიდების გამო, არამედ იმ ფაქტების ხსოვნის აუცილებლობის გამო, რომლებიც ქართველთა გაქრისტიანებასთან იყო დაკავშირებული.

ამგვარად, განდიდების სურვილი აქ არაფერ შუაშია და არც ამ მიზეზით ფაქტის უარყოფაა ლოგიკური. ასევე სავსებით შესაძლებელია, რომ მარტვირი-იოანეს თავიდანვე ჰქონოდა გეგმა, აღენუსხა ფაქტები. წყაროებით ჩანს, რომ ასურელი მისიონერების მოსვლა ქართლში არ ყოფილა მათი სპონტანური გადაწყვეტილების შედეგი. ღვანლის აღწერაზეც რომ ეფიქრათ, ეს სულაც არაა გამორიცხული.

თუმც მარტვირი-იოანეს თავიდანვე ამგვარი მისიით ჩამოყვანის შესახებ აზრი, ეს მაინც ჩემი ვარაუდია მხოლოდ და შეუძლია მკვლევარმა არც გაიზიაროს. მაგრამ ამ აზრის ჰიპოთეტურობა ოდნავადაც ვერ არყევს მეორე ფაქტს ანუ მარტვირი-იოანეს ავტორობის შესახებ ცნობას. ეს უკვე წყაროს პირდაპირი ინფორმაციაა.

ამგვარად, ვთვლი, რომ დ. მერკვილაძის ეს მსჯელობა ჩემი თვალსაზრისისათვის პრობლემას ვერ ქმნის.

მეორე დაბრკოლებად მკვლევარს ესახება შემდეგი: „წმ. იოანეს ცხოვრება მის კონსტანტინეპოლში მოღვაწეობისას დამონაფებულ პირს რომ აღწერა, არა გვგონია, რაიმე მცირედი ცნობა მაინც არ შემოგვრჩენოდა წმინდანის მოღვაწეობის კონსტანტინეპოლურ პერიოდზე (თუ, რაღა თქმა უნდა, ასეთ რამეს საერთოდ ჰქონდა ადგილი)“.²

აქ ჩემი პასუხი შემდეგია: წმ. იოანე ზედაზნელის „ცხოვრების“ პროტოგრაფული ვერსია არ შემოგვრჩა. ყველა შემორჩენილი ტექსტი არსენისეული რედაქციისაა. ეს უკანასკნელი კი, როგორც ითქვა, სწორედ იმით გამორჩეული ვერსიაა, რომ მასში ასურელ მამათა ქართლში მოსვლამდე ფაქტები გამოტოვებულია. მაშ, სადღა ელოდება დამატებით „რაიმე მცირეოდენ ცნობას“ მარტვირი-იოანეს შესახებ დ. მერკვილაძე?!

მესამე დაბრკოლებად ჩემი თვალსაზრისის გაზიარების გზაზე დ. მერკვილაძე მიიჩნევს შემდეგს: „რატომ არაფერი არ ვიცით იოანე ზედაზნელის

¹ აბულაძე, *ძეგლები I*, გვ. 105 - 106.

² მერკვილაძე, *ასურელი მამები*, გვ. 195.

ამ მოწაფის შესახებ, მით უფრო, თუკი მისი სახელი ასურელ მამათა ცხოვრებათა, „ციკლის ჩამოყალიბებას უკავშირდება“? რატომ არცერთი სხვა წყარო არ ახსენებს სხვებთან ერთად „ცხოვრებათა“ ავტორის იოანე მარტვირის სახელსაც კი? არ ვიცით რა ბედი ეწია მას, როცა მოწაფეთა გაფანტვის შემდეგ წმ. იოანე ელია დიაკონთან ერთად რჩება მარტო ზედაზნის სავანეში. იგი ასურელ მამათა რიცხვში რომ ყოფილიყო, შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ მომდევნო ხანის ჰაგიოგრაფებსა თუ საეკლესიო მოღვაწეებს“.¹

როგორც ვნახეთ, დ. მერკვილაძე S₁ რედაქციის სათაურს ფსევდოეპიგრაფიკულად მიიჩნევს და ნდობას არ უცხადებს; ამ რედაქციაში წმ. იოანე ზედაზნელის მოწაფეთა შორის დასახელებულ მოწაფე იოანეს არსებობის შესახებ ცნობასაც ნდობას არ უცხადებს. ამგვარად, მკვლევარი ნდობას არ უცხადებს არცერთ ცნობას, რომელიც მის წინასწარ შემუშავებულ თვალსაზრისს არ შეესაბამება. ამჟამად, რომ ასეთ ვითარებაში მასთან კამათს აზრი ეკარგება.

მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ „დაბრკოლებათა“ ჩამონათვალს მოსდევს მსჯელობა, რომელიც გვიჩვენებს, რომ თავად დ. მერკვილაძე ნაკლებად არის დარწმუნებული მის მიერ დასახელებულ კონტრარგუმენტთა საფუძვლიანობაში: „ამავე დროს ეს გარემოებანი არ გამორიცხავს ასეთი პიროვნების იოანე ზედაზნელის მოწაფეობასაც. სახელგანთქმულ წმ. მამას ყველგან მრავალი მოწაფე ჰყავდა [...] თუკი სათაურში მოტანილი უწყება ფსევდოეპიგრაფიკული არაა, შესაძლებელია, იოანე მარტვირი მართლაც შეხვედროდა და დამოწაფებოდა კონსტანტინეპოლში ჩასულ ცნობილ მოძღვარს.. და მოგვიანებით უკვე საქართველოში ხელი მოეკიდა წმ. მამათა „ცხოვრების“ აღწერისათვისაც“.²

ამგვარად, ამჟამად, რომ მკვლევარი, მიუხედავად მისი სურვილისა უარყოს ჩემი თვალსაზრისი, მას იზიარებს.

მეორე მკვლევარი, რომელიც S₁ რედაქციასთან დაკავშირებით ჩემს შეხედულებას ეხება, არის შ. მათითაშვილი. ის თავის ნაშრომებში გამოკვეთილად მხარს უჭერს დასკვნას იმის შესახებ, რომ მარტვირი-იოანე ციკლის პროტოგრაფული ტექსტების ავტორია.³ მკვლევარს მისაღებად მიაჩნია ჩემი შეხედულება ციკლის არსენისეული და პროტოგრაფული ვერსიების განსხვავებულ მიზანდასახულებასთან დაკავშირებითაც.⁴

მკვლევარი ეხება იოანე-მარტვირის ვინაობის საკითხსაც და სწორედ ამ კონტექსტში იგი კრიტიკულად განიხილავს ჩემს ერთ შეხედულებას: „მაგრამ ვინ იყო ეს იოანე-მარტვირი? რადგანაც ისტორიკოსები და ფილოლოგები შიო მღვიმელის ცხოვრებაში დაცულ ცნობას იოანეს შესახებ ყურადღებას

¹ მერკვილაძე, *ასურელი მამები*, გვ. 195-196.

² მერკვილაძე, *ასურელი მამები*, გვ. 196.

³ მათითაშვილი, *მონასტრები*, გვ. 4, 12, 13.

⁴ მათითაშვილი, *მონასტრები*, გვ. 12-13.

არ აქცევდნენ, ამიტომ მისი ვინაობის ირგვლივ მსჯელობას ადგილი არ ჰქონია. XII საუკუნის შიო მღვიმელის ცხოვრების მეტაფორასულ რედაქციას ამგვარი სათაური აქვს: „ცხოვრებაჲ და საკვრველებანი წმიდისა და ნეტარისა შიოდსნი, რომელი იყო ანტიოქიადთ შუამდინარისადათ. ხოლო მოინია ქუეყანად ქართლისა და დაემკვდრა სარკინისა მღვმესა, რომელი ესე აღწერა ღირსმან მარტვრი, პირველ რომელსა ეწოდა იოანე, რომელი იყო მონაფეთაგანი წმიდისა იოანესთა კონსტანტინეპოლით... აქედან გამომდინარე მ. ჩხარტიშვილი ფიქრობს, რომ იოანე ზედაზნელი კონსტანტინოპოლელი უნდა ყოფილიყო (რადგანაც სათაურში გვხვდება სიტყვები „რომელი ესე აღწერა ღირსმან მარტვრი, პირველ რომელსა ეწოდა იოანე, რომელი იყო მონაფეთაგანი წმიდისა იოანესთა კონსტანტინეპოლით“) და შემდეგ „გამოსულიყო“ სირიაში, როცა შიო ოცი წლის შესრულდა (და როდესაც იოანეს დაემონაფა), ამიტომ პატივცემული მეცნიერის აზრით, იოანე-მარტვირი, სწორედ იოანე ზედაზნელის მონაფეა, მაგრამ შიო მღვიმელის ცხოვრების მეტაფორასული სათაური უცილობლად ამგვარი დასკვნის გაკეთებას არ გვაძლევს. ასურელ მამათა ცხოვრებათა არც ერთ რედაქციაში არ გვხვდება ცნობა ან რაიმე მინიშნებაც კი იოანე ზედაზნელის „კონსტანტინოპოლელი“ შესახებ. საქმე ისაა, რომ სიტყვა „კონსტანტინოპოლელი“ არა იოანე ზედაზნელის, არამედ იოანე-მარტვირის უნდა ეკუთვნოდეს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ იოანე მარტვირი იყო სწორედ კონსტანტინოპოლელი და კონსტანტინოპოლიდან ჩამოსული უნდა დამონაფებოდა იოანე ზედაზნელს, რაც სრულიად დასაშვებია. ასევე სრულიად რეალურია იმის შესაძლებლობა, რომ ასურელ მამათა ცხოვრებანი თავდაპირველად სწორედ იოანე-მარტვირს დაეწერა, მით უმეტეს, ჩვენ გვაქვს არსენი კათალიკოსის ცნობა, რომ ამგვარი ნაწარმოებები ძველთაგანვე არსებობდა“.¹

როგორც თავადაც მიუთითებს მკვლევარი, ამ ცნობას საერთოდ არ აქცევდნენ ყურადღებას და მიიჩნევდნენ ნატყუარად. ჩემი თვალსაზრისი პირველმა (და ჯერჯერობით ერთადერთმა) შ. მათითაშვილმა გაიზიარა, ოღონდაც, როგორც ვხედავთ, მიაჩნია, რომ ამ ცნობის ერთი ნაწილის ჩემეული ინტერპრეტაცია არ არის ზუსტი. მისი აზრით, მე ვთვლი, რომ მარტვირი-იოანე იყო კონსტანტინოპოლიდან. ის ამაში არ მეთანხმება და მიუთითებს, რომ კონსტანტინოპოლელიობა ეხება მხოლოდ მარტვირი-იოანეს და არ ეხება მის მასწავლებელს ანუ წმ. იოანე ზედაზნელს.

ჯერ ერთი, მინდა დავაზუსტო: მე არ ვსაუბრობ წმ. იოანეს კონსტანტინოპოლურ წარმომავლობაზე, არამედ მისი მოღვაწეობის კონსტანტინო-

¹ მათითაშვილი, *ქართული ბერმონაზვნობა*, გვ. 184-185.

პოლურ პერიოდზე. წმ. იოანე ზედაზნელის მოღვაწეობა კონსტანტინოპოლში, ცხადია, არ გამოორიცხავს მის ასურულ წარმომავლობას.¹ ძველ დროში ქრისტიანები საკმაოდ ბევრს მოძრაობდნენ, სტუმრობდნენ საგანმანათლებლო და საკულტო ცენტრებს. კონსტანტინოპოლი ორივე თვალსაზრისით გამორჩეული და მიმზიდველი იყო.² ამიტომ სულაც არ არის გამორიცხული, რომ შუამდინარელი იოანე კონსტანტინოპოლში წასულიყო და იქ ემოღვაწა გარკვეული დროის განმავლობაში და შემდეგ დაბრუნებულიყო სამშობლოში.

ტექსტის ჩემიუი ინტერპრეტაციით კონსტანტინოპოლი უკავშირდება მარტვირი-იოანეს წმ. იოანეს მონაფედ გახდომის ფაქტს. შ. მათითაშვილი კი, როგორც ეს მოყვანილი მსჯელობიდან ჩანს, კონსტანტინოპოლს უკავშირებს მარტვირი-იოანეს წარმომავლობას.

ახლა უნდა გადავწყვიტოთ შემდეგი: როცა აღმწერის ვინაობას ეხება საქმე, რისი აქცენტირება იქნებოდა ჰაგიოგრაფისათვის უფრო მნიშვნელოვანი: იმის, რომ ეს ავტორი იყო რომელიმე ქალაქის მკვიდრი თუ იმის, რომ მას მასწავლებელთან ხანგრძლივი ნაცნობობა აკავშირებდა? ცხადია, მთავარი იყო მასწავლებელთან ნაცნობობის ხანგრძლივობის ჩვენება.

ამიტომ სრულიად აშკარაა, რომ „კონსტანტინოპოლი“ ეხება დამონაფების ფაქტს და არა მარტვირი-იოანეს სამშობლო ქალაქის განსაზღვრას. ანალოგიური ვითარება ჩანს ასურულიდან ქართულად ნათარგმნ პეტრე იბერის „ცხოვრებაშიც“: „ხოლო მე, გლახაკმან ზაქარია, მონაფე მისი ქართლითგანვე,³ უკუანა შეუდეგ წმიდასა მას ვიდრე მიცვალებამდე მისა, ამისთვისცა აღვწერე ცხოვრებაჲ მის და სასწაულნი თუალითა ჩემითა ხილულნი და ყურითა სმენილნი“.⁴

ეს ამონარიდი კარგად ცხადყოფს თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ჰაგიოგრაფს ეჩვენებინა წმინდანის ღვაწლის შესახებ მისი სათანადო ინფორმირებულობა. ამის გარანტიად ესახებოდათ მონაფის ხანგრძლივად ყოფნა მასწავლებელთან.

ამგვარად, ვფიქრობ, უეჭველია, რომ S₁ რედაქციის სათაური გვამცნობს შემდეგს: ა) მარტვირი-იოანე არის ავტორი, რომელმაც პირველმა აღწერა წმ. შიოს ღვაწლი; ბ) მარტვირი-იოანე იყო წმ. იოანეს მონაფე, რომელიც მას დაუკავშირდა კონსტანტინოპოლში.

ესაა ნყაროს ინფორმაცია. აქედან გამომდინარე ჩემი დასკვნები კი შემდეგია: ა) ჩვენ ხელთ არსებული მეტაფრასული რედაქცია S₁ ეფუძნება

¹ ბოლო ხანებში წმ. იოანეს ასურელობაზე აქცენტი გააკეთა ზ. ალექსიძემ წმ. იოანე ზედაზნელის სინურ ხელნაწერში დაცული ტექსტის მონაცემების საფუძველზე. იხ. ალექსიძე, *ასურელ მამათა დედაენა*, გვ. 213-214.

² გურანი, *კონსტანტინოპოლი - ახალი იერუსალიმი*, გვ. 35-55.

³ ხაზი ჩემია. ესეც უნდა იყოს რედაქტორის შენიშვნა. ანუ ავტორთან დაკავშირებით ამგვარი ინფორმაციის დაფიქსირება ყოველთვის აქტუალური იყო ჰაგიოგრაფიული ტექსტის მომხმარებლისათვის.

⁴ აბულაძე, *ძეგლები II*, გვ. 262.

სწორედ იმ თავდაპირველ, ანუ მარტივი-იოანეს მიერ შექმნილ ტექსტს და არა არსენისეულ მოდიფიკაციას, რომლის რეპრეზენტატორი დღეს არის S_z რედაქცია; ბ) რახან მარტივი-იოანე წმ. ზედაზნელის მოწაფე იყო და რახან მან წმ. იოანეს ერთ-ერთი მოწაფის ანუ წმ. შიოს ბიოგრაფია აღწერა, დიდი დარწმუნებით სავარაუდოა, რომ სწორედ ის იყო წმ. იოანეს „ცხოვრების“ თავდაპირველი ტექსტის ავტორიც.

ბ. ალექსიძემ 1999 წელს გამოაქვეყნა სტატია „აბიბოს ნეკრესელის მარტივობის“ შესწავლის ტექსტოლოგიურ-ქრონოლოგიური საკითხები¹. მკვლევარი არ განიხილავს ჩემს დისერტაციას და წმ. ასურელ მამათა ღვანლისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული ციკლის შესახებ მასში წარმოდგენილ დასკვნებს. მაგრამ, ჩემი შეხედულებების კრიტიციზმის კონტექსტში, ამ ნაშრომსაც შევეხები გაკვირვით იმდენად, რამდენადაც ზ. ალექსიძე წარმოგვიდგენს ჩემგან განსხვავებულ დასკვნას წმ. აბიბოს ნეკრესელის ჰაგიოგრაფიის ავტორის შესახებ. კერძოდ, იგი თვლის, რომ N/Sin-50-ის მიხედვით ავტორი ნეკრესელი ეპისკოპოსია და კატეგორიულად გამორიცხავს არსენ კათალიკოსის ავტორობის შესაძლებლობას. მისთვის ამოსავალია თავად წყაროს ინფორმაცია ავტორის ნეკრესელობის და თხზულების წერის დროს მისი ნეკრესში ყოფნის შესახებ.

იგივე ცნობას ანუ ავტორის ნეკრესელობის შესახებ ინფორმაციას, როგორც ითქვა, შეიცავს წმ. აბიბოსისადმი მიძღვნილი ზემოთ აღნიშნული ორივე რედაქცია ანუ N_1 და N_2 . როგორც უკვე ვთქვი, აღნიშნული ცნობა არსენ კათალიკოსის მიერ ციკლის ერთ-ერთი ვერსიის შექმნის შესახებ ჩემს დასკვნას ხელს ვერ უშლის. ვითარების ახსნა, უკვე ვნახეთ, ძალიან მარტივია: არსენმა თხზულება წმ. აბიბოს ნეკრესელზე დანერგა მაშინ, როცა იყო ნეკრესის ეპისკოპოსი. მოგვიანებით, როცა კათალიკოსი გახდა, თხზულების სათაურში მისი პოზიციის შესახებ ინფორმაცია შესაბამისად ჩასწორდა: ნეკრესის ეპისკოპოსის მაგიერ ჩაინერგა ქართლის კათალიკოსი. მართალია, N/Sin-50-ის სათაურში არსენ კათალიკოსის ხსენება არ არის, მაგრამ იგი N_1 რედაქციასთან ახლოს მდგომი ტექსტია: ამას თავად ზ. ალექსიძის მიერ ჩატარებული ტექსტოლოგიური კვლევაც კარგად აჩვენებს. ამდენად, ფაქტობრივ, N/Sin-50 ტექსტიც არსენისეული ვერსიის რედაქციაა.

შეჯამებისათვის კი ვიტყვი, რომ N/Sin-50 ტექსტი არაფერს შეიცავს ისეთს, რაც დამარწმუნებდა, რომ ჩემ მიერ მიღებული დასკვნა არსენის ავტორობასთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულ იქნა N/Sin-50 ტექსტის გათვალისწინების გარეშე, უნდა გადავსინჯო.

¹ ალექსიძე, აბიბოს ნეკრესელი, გვ. 12-29.

4. არსენისეული და პროტოგრაფული ვერსიების ურთიერთმიმართების მაჩვენებელი ზოგი მაგალითი

თავად ჰაგიოგრაფის სიტყვებზე დაყრდნობით, ზემოთ გამოვთქვი ვარაუდი, რომ პროტოგრაფულთან შედარებით ციკლის არსენისეული ვერსია შემოკლებულ ტექსტებს წარმოგვიდგენდა. S_1 რედაქციის დეტალური შედარება S_2 რედაქციასთან ამ თვალსაზრისს გვიმყარებს. ქვემოთ მოვიყვან შესაბამის მაგალითებს:

S_1 იწყება შესავლით, რომელშიც საუბარია წმიდათა ღვანლის აღწერის მნიშვნელობაზე და წმ. შიოს ღვანლზე ზოგადად. საერთოდ არავითარი შესავალი არა აქვს S_2 რედაქციას და ეს სრულიად ბუნებრივია. იგი ხომ დამოუკიდებელი თხზულება არაა, არამედ არსენისეული ვერსიის (Z_1 // Z_2 რედაქციები) შემადგენელი ნაწილია.

შესავლის შემდგომ S_1 ტექსტში საუბარია წმ. შიოს ყრმობის შესახებ. აქედან ვიტყობთ, რომ იგი ყოფილა ანტიოქიაში მცხოვრები ღვთისმოყვარე, საკმაოდ შეძლებული აზნაურის შვილი. მშობლებმა შეასწავლეს მას წმინდა წერილი. თექვსმეტი წლის რომ გახდა დამოუკიდებლად დაიწყო წმინდანთა ღვანლის აღმწერი თხზულებების გაცნობა, კითხულობდა დღე და ღამე შეუსვენებლივ, იქამდე, რომ მისი სიბეჯითე იწვევდა მშობლების საფუძვლიან შემფოთებას, ეძინოდათ, რომ ასეთი თავდაუზოგველობით ჯანმრთელობისათვის არ ევნო: „იქმნა რად წლის ათექუსმეტსა, იწყო გამოძიებად სიტყუათა წმიდათა წიგნისა, და ზინ და იკითხავნ განუსუენებლად დღე და ღამე“.¹

როცა წმ. შიო ოცი წლის შეიქმნა, მაშინ გამოჩნდა მის თვალსაწიერში წმ. იოანე, - უკვე სახელგანთქმული თავისი სასწაულებით, გარშემორტყმული მრავალრიცხოვანი მოწაფეებით. ის განანათლებდა ანტიოქიის მკვიდრთ. მშობელთაგან მალულად წმ. შიო მივიდა წმ. იოანესთან. ამ უკანასკნელს მაშინვე მოეწონა ჭაბუკი მისი რწმენის გამო. წმ. შიოზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ წმ. იოანემ მას თავიდანვე სახელით მიმართა. წმ. იოანე მას თავის გუნდში მიღებასაც დაჰპირდა, თუმც მოთხოვა, რომ მშობელთაგან კურთხევა მიეღო. წმ. შიო ღელავდა, რადგან მშობლებს, რომლებიც მის დაოჯახებაზე ოცნებობდნენ, ეეჭვებოდა, რომ შვილის ბერად აღკვეცაზე დაითანხმებდა. წმ. იოანემ იგი დაამშვიდა, დაარწმუნა, რომ მისი მშობლები მასზე ადრე მიიღებდნენ მონაზონობას. ერთ კვირა დღეს წმ. შიო წავიდა ეკლესიაში მშობლებთან ერთად. დიაკონი კითხულობდა სახარებას. რატომღაც ყურადღება მიაქციეს იმ ადგილს, სადაც ამა სოფლის მოძულეებაზეა საუბარი. სახლში დაბრუნებულმა წმ. შიომ მამას შეახსენა ეს ადგილი და ჰკითხა, რად არ ესწრაფვოდა ამ აზრის განხორციელებას. მოკლედ, საბოლოოდ მშობლები დაითანხმა მონაზვნებად აღკვეცილიყვნენ და გაისტუმრა ისინი დაიმედებულნი იმით, რომ მათი ერთადერთი შვილი დაოჯახებოდა და

¹ აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 109.

მამულს მოუფლიდა. წმ. შიომ კი, როგორც კი მშობლები მონასტერში დაი-
გულვა, მთელი სიმდიდრე ლატაკებს გაუნაწილა და თავად წმ. იოანეს
მიაშურა. ასე გაატარა მასწავლებელთან ოცი წელი. ამ ოცი წლის შემდგომ წმ.
იოანეს ზეგარდმო ბრძანება მოუვიდა წამოსულიყო საქართველოში. თხზუ-
ლებაში დეტალურად არის აღწერილი როგორ გამოარჩია წმ. იოანემ ანგე-
ლოზის დახმარებით საქართველოში წამოსაცვანი მონაფეები. მათ შორის
აღმოჩნდა წმ. შიო.

ს₁ ტექსტში მოცემულია თორმეტი რჩეულის სახელი, აგრეთვე წარმოდ-
გენილია თხრობა საქართველოში წამოსვლამდე ასკეტ სვიმეონ მესვეტეს-
თან წმ. მამათა ვიზიტის შესახებ.¹

მე საგანგებოდ გადმოვეცი ვრცლად ეს პასაჟი იმის საჩვენებლად, რომ
ს₁ ტექსტი წარმოგვიდგენს წმ. შიოს ბიოგრაფიის საკმაოდ შთამბეჭდავ დე-
ტალებს. არაფერი მსგავსი არაა ს₂ ტექსტში.

აღწერილის შემდეგ ს₁ ტექსტში უკვე წმინდა მამათა ქართლში მოს-
ვლაზეა საუბარი. ქართლს რომ მოადგა ეს მისიონი, ევლავიოზ ქართლის
კათალიკოსს ღამე ეჩვენა ანგელოზი, რომელმაც ამცნო, რომ მოვიდოდნენ
მგზავრები, რომლებიც წმინდანები არიან. ევლავიოზი გავიდა საზღვარზე და
ყველა გამვლელ-გამომვლელს აკვირდებოდა. დაინახა წმიდა მამები თუ არა,
მაშინვე ამოიცნო ისინი. წმ. იოანემ და კათალიკოსმა ქართულადაც კი გააბეს
ერთმანეთს შორის საუბარი.² არც ამ უაღრესად საინტერესო ფაქტების შესა-
ხებ არის რაიმე თქმული ს₂ ტექსტში.

თავიანთ სამყოფელად წმინდა მამებმა აირჩიეს ზედაზენის საოცრად
ძნელად საცხოვრებელი და უკაცრიელი მთა, მიუხედავად იმისა, რომ კათა-
ლიკოსი დაბეჯითებით ურჩევდა მათ აქ არ დასახლებულიყვნენ. მაისი იყო და
არაგვი ადიდებულებოდა. სასწაულით წმინდა მამები უვნებელნი გადავიდნენ
წყალზე.³ არც ამ ფაქტების შესახებ არის რაიმე თქმული ს₂ ტექსტში.

შემდეგ ორიოდ სიტყვით აღწერილია წმ. იოანესა და მისი მონაფეების
ცხოვრება ზედაზენზე. ს₂ ტექსტში კი ეს არაა, რადგან ამის შესახებ Z₁(//Z₂)
ტექსტის პირველ ნაწილშია მოთხრობილი. აღნიშნულის მომდევნოდ ს₁ ტექ-
სტში წარმოდგენილია ეპიზოდი, რომელსაც ასევე არ იცნობს ს₂ ტექსტი.
ესაა წმ. აბიბოსისა და წმ. ისეს მიერ საეპისკოპოსო კათედრების დაკავების
შესახებ თხრობა.⁴

ს₁ ტექსტის მიხედვით ერთ ღამეს წმ. იოანეს ეჩვენა წმ. ნინო. ქარ-
თველთა განმანათლებელმა ქართლის ყოველ კუთხეში მონაფეების დაგზავ-
ნა მოთხოვა წმ. იოანეს. ეს უკანასკნელი შესაბამისად მოიქცა.⁵ ს₂ ტექსტში

¹ აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 108-117.

² აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 117-118.

³ აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 121-122.

⁴ აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 123-124.

⁵ აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 125.

ნმ. ნინოს გამოცხადების შესახებ არაფერია ნათქვამი, თუმცა მონაფეების წარგზავნის ეპიზოდი აქაც არის.¹

S₁ ტექსტი აღწერს ნმ. შიოს საკვირველად ფიცხელ თვითგვემას. სამოცი დღე იშიმშილა მან. არც ჭამდა, არც სვამდა. საშინელ სიზმრებს ხედავდა.² S₂ ტექსტში არის მარხვის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ დეტალების გარეშე.³

S₁ ტექსტში მოთხრობილია ნმ. შიოს სიზმრის შესახებაც, როცა ღვთისმშობელმა მიაწოდა მას საკვები „მსგავსი თოვლისაჲ“.⁴ აღნიშნული ფაქტის თაობაზე არაფერია ნათქვამი S₂ ტექსტში.

გავიდა მრავალი ხანი. ჰაგიოგრაფის მითითებით, ღმერთმა არ ისურვა, რომ უჩინარი დარჩენილიყო ეს დიდი მოღვაწე. ნმ. შიოს შემთხვევით გადააწყდება სანადიროდ გამოსული ციხე-დიდის მთავარი ევაგრე. ისინი შეხვედებიან მაშინ, როცა მტრედს ბერისათვის მიჰქონდა საკვები.⁵ ეს ეპიზოდი არის S₂ ტექსტშიც,⁶ ოღონდაც აქ იმის შესახებ, რომ ევაგრე ციხე-დიდის მთავარია, არაფერია თქმული.

ევაგრე მოისურვებს ბერთან დარჩენას. ნმ. შიო მისცემს მას თავის კვერთხს და ეტყვის: თუ წყალი ამ კვერთხის შემწეობით მას გზას მისცემს, წავიდეს, განაგოს თავისი საქმეები და კვლავ მოვიდეს მასთან და დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაბრუნდეს უკან, რადგან ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ღმერთს არ სურს მისი ბერობა. ევაგრე შესაბამისად მოიქცევა. ორივე შემთხვევაში (ანუ წასვლისას და მოსვლისას) წყალი გზას მისცემს ევაგრეს. ამგვარად, ნმ. შიოს გაუჩნდება პირველი მონაფე.⁷ ევაგრე დაბანაკდება ნმ. შიოს მახლობლად გამოქვაბულში.

ყოველივე ამის შესახებ მოთხრობილია S₂ ტექსტშიც, ოღონდ, როგორც უკვე ითქვა, არ არის იმის შესახებ ცნობა, რომ ევაგრე ციხე-დიდის მთავარი იყო, არც ის, თუ სად დაბანაკდა ბერად აღკვეცის შემდგომ იგი.

ევაგრეს შემდგომად მოვლენ მრავალნი და ასევე მახლობლად დამკვიდრდებიან. ყოველ კვირას მიდიოდა მათთან ნმ. შიო და მოძღვრავდა. ერთხელ ნახა, რომ ერთ-ერთ ძმას წყალი დაეღვარა, რომელსაც საკმაოდ შორიდან ეზიდებოდა. ნმ. შიოს შეეცოდა იგი. მაშინ იხილა უფლის ანგელოზი, რომელიც კლდეში ღრუს აკეთებდა წყლისათვის. ასე აღმოცენდა სასწაულით წყარო.⁸ ეს მეტად ცხოველმყოფლად აღწერილი ეპიზოდი საერთოდ გამოტოვებულია S₂ ტექსტში.

¹ აბულაძე, *ძეგლები I*, გვ. 207.

² აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 127.

³ აბულაძე, *ძეგლები I*, გვ. 217-218.

⁴ აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 129.

⁵ აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 132.

⁶ აბულაძე, *ძეგლები I*, გვ. 219.

⁷ აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 134-137.

⁸ აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 138.

S₁ ტექსტში წმ. შიოსთან ევაგრეს მოსვლის უმაღლესი ეკლესიის მშენებლობაზე საუბარი. აქ სწორედ ამას მოსდევს ეკლესიის მშენებლობის ეპიზოდი. მისთვის ადგილის შერჩევის შესახებ თხრობა.¹ ეს მოხდა სასწაულით: წმ. შიომ ხელზე ცეცხლი და საკმეველი დაიდო, კვამლი სვეტად ავიდა და სადაც გაჩერდა, იქ ააშენეს ეკლესია. სასწაული მოთხრობილია ორივე რედაქციაში, მაგრამ S₁ ტექსტში თხრობა უფრო ვრცელია.

აღნიშნულის შემდეგ S₁ ტექსტში მოდის ეპიზოდი, რომელსაც S_z საერთოდ არ იცნობს. ესაა ევაგრეს ბიოგრაფიის დეტალები. ირკვევა, რომ ევაგრე ქართლის ერთ-ერთი უპირველესი მთავარი ყოფილა. ამიტომ მეფეს ძალიან განუცდია მისი შემონახვება. ამ დროს მეფე ფარსმანს, მართლაც, რთული ვითარება შექმნია. იუსტინიანე იმპერატორს დახმარება უთხოვია და იქ წასულა. წასვლამდე მეფემ მიაკითხა ევაგრეს, რომ დაეთანხმებინა დროებით ქვეყნისათვის ეხელმძღვანელა. ევაგრე არ თანხმდებოდა. მეფემ წმ. შიო იწახულა. ძალიან თბილი იყო ეს შეხვედრა. მეფემ ბერის ქადაგებაც მოისმინა. წმ. მამას ამ დროისთვის უკვე სრულყოფილად ესწავლა ქართული. მეფემ გულუხვად დააჯილდოვა ბერი: მონასტერს შენირა ოთხი სოფელი, ოქროსა და ვერცხლის საეკლესიო ინვენტარი, ოქროს ჯვარი და ვახტანგ გორგასლის მიერ შემკობილი სახარება.² ეს უაღრესად საინტერესო ცნობები საერთოდ არაა S_z ტექსტში.

S₁ ტექსტში ამას მოსდევს დეტალური აღწერილობა მცხეთაში მეფის დაბრუნების შესახებ. მეფე ნანახს უამბობს კათალიკოსს (წყაროს მიხედვით, ამ დროისათვის კათალიკოსი უკვე მაკარია). გადანყვეტენ აღნიშნონ მარტვილიის დღესასწაული. წმ. შიოს აიძულებენ ხუცობის ხელდასხმის მიღებას. მაგრამ წმ. შიო უარყოფს ამ შეთავაზებას იმის შიშით, რომ ამის შემდგომ ეპისკოპოსობა არ აიძულონ. ძმობა კი მრავლდება. ბერების რიცხვი 2000 აღწევს ამ დროისათვის. ეს მონაკვეთიც არაა S_z ტექსტში.

ამ ორ რედაქციას, ცხადია, ერთგვაროვანი ეპიზოდებიც აქვთ. S₁ ტექსტი ყოველთვის მეტი დეტალის შემცველია, თანაც თხრობა ყოველთვის უფრო ცხოველმყოფელია. S_z კი ფაქტებით თითქმის ყოველთვის უფრო მწირია. S₁ ცნობების სიუხვით არათუ S_z ტექსტთან მიმართებით, არამედ მთელ ამ ჰაგიოგრაფიულ ციკლში გამოირჩევა. ამიტომაც, რომ მომდევნო ეპოქების ჰაგიოგრაფები მას ხშირად ესესხებიან ინფორმაციას არა მარტო წმ. შიოს ბიოგრაფიის შესავსებად, არამედ დანარჩენ წმიდა მამათა ბიოგრაფიების აღწერისათვისაც.

სპეციალურ ლიტერატურაში რატომღაც დომინირებს აზრი, რომ ფაქტების სიუხვი გვიანდელი შემატების შედეგია და პროტოგრაფიდან მომდინარე არაა.³ მოყვანილი შედარება გვაფიქრებინებს, რომ ეს ასე არ უნდა

¹ აბულაძე, *ძეგლები I*, გვ. 220.

² აბულაძე, *ძეგლები III*, გვ. 139-140.

³ აბულაძე, *ძეგლები IV*, გვ. 177, 229.

იყოს. ბევრ შემთხვევაში სიტყვა შეეხება სრულიად კონკრეტულ მონაცემებს. საინტერესოა, რომ S₁ რედაქციაში დაცული ისტორიული რეალიები დადასტურებას პოულობს სხვა წყაროებში. მაგალითად, ევლალე კათალიკოსის შემდგომ მაკარის ზეობაზე მიუთითებს „მოქცევაჲ ქართლისაჲც“.¹

როგორც ითქვა, ასურელ მამათა ღვანლის ამსახველი ჰაგიოგრაფიული ციკლის სწორედ პროტოგრაფული ტექსტი უნდა ყოფილიყო დეტალური აღწერილობა. არსენმა ის შედარებით სქემატური გახადა, ცხადია, არა იმიტომ, რომ მას ნიჭიერება აკლდა. არსენ კათალიკოსი ხელოვანი მწერალია. უბრალოდ მას პროტოგრაფული ტექსტის ავტორის მარტვირი-იოანესაგან განსხვავებული მიზანი ჰქონდა: ამ უკანასკნელისათვის მთავარი იყო ფაქტების აღწერა, რომ ისინი დავიწყებას არ მისცემოდა და წმინდა მამათა კულტი დანესებულებოდა; არსენის წინაშე ეს პრობლემა აღარ იდგა: ასურელი მამები ქართული ეკლესიის წმინდანები უკვე იყვნენ. ახლა აქტუალური გამხდარიყო კოლექტიურ მეხსიერებაში მათი ღვანლის რევიტალიზაცია და მათი ცხოვრების მაგალითით საზოგადოების მორალური წვრთნა.

5. ციკლის ისტორიის მოკლე რეპრეზენტაცია და მიღებული შედეგების მნიშვნელობა

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ წმ. იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ღვანლისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული ციკლის რამდენიმე თხზულება. მათმა შესწავლამ ასე წარმოგვიჩინა ციკლის განვითარების ისტორია:

წმინდა მამათა ყველაზე ცნობილ წარმომადგენელთა ბიოგრაფიის თავდაპირველი აღმწერი იყო წმ. იოანე ზედაზნელის მოწაფე მარტვირი-იოანე. ეს პიროვნება თან ახლდა წმ. იოანეს ყველგან: კონსტანტინოპოლში, შუამდინარეთში, საქართველოში. მის მიერ დაწერილი თხზულებანი (წმ. იოანე ზედაზნელის და მისი რამდენიმე ყველაზე თვალსაჩინო მოწაფის) მისიონის მოღვაწეობის დეტალური რეპრეზენტაციის შემცველი ტექსტები გახლდათ.

საანალიზო ჰაგიოგრაფიული ციკლის ჩვენამდე შემორჩენილ რედაქციებს შორის ამ თავდაპირველი ვერსიის (ანუ არსენის რედაქტორული ჩარევისაგან თავისუფალი ტექსტის) რეპრეზენტაცორია წმ. შიოს „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია ანუ S₁.

მოგვიანებით, კერძოდ, X საუკუნეში არსენ კათალიკოსმა მარტვირი-იოანეს ნაშრომის საფუძველზე შექმნა ციკლის ახალი ვერსია: ფაქტების თვალსაზრისით შემოკლებული, მაგრამ დიდაქტიკური მსჯელობებით გავრცობილი და შესაბამისად აქცენტირებული ჰაგიოგრაფიული დილოგია, რომელიც წარმოდგენილი იყო წმ. აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობითა“ და წმ.

¹ აბულაძე, ძეგლები I, გვ. 94.

იოანე ზედაზნელის „ცხოვრებით“. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, როგორც მეორე ნაწილს, შეიცავდა წმ. შიოსა და წმ. ევაგრეს „ცხოვრებას“. არსენმა ამ დილოგიის წერა დაიწყო მაშინ, როცა ჯერ კიდევ ნეკრესელი ეპისკოპოსი იყო. კონკრეტულად, ამ დროს უნდა დაეწერა მას წმ. აბიბოსისადმი მიძღვნილი თხზულება და დაიწყო წმ. იოანე ზედაზნელის შესახებ თხზულების წერა, რომელიც დაამთავრა უკვე კათალიკოსად ყოფნის პერიოდში. არსენისეულ ვერსიას დღეს ყველაზე უკეთ წარმოაჩენს Z_1 და N_1 რედაქციები.

ამგვარი შედეგების მიღების საშუალება გააჩინა ტექსტების ანალიზისას ჩემგან იმის მიხვედრამ, რომ ზოგიერთი თხზულების სათაურში ამა თუ იმ მწერლის (მარტვირი-იოანეს, არსენი კათალიკოსის) მოხსენიება არ ნიშნავს მის მიერ კონკრეტული ტექსტის ავტორობას, არამედ მიუთითებს ციკლის გარკვეული ვერსიისადმი ამ ტექსტის კუთვნილებას. ვერსიის დაკონკრეტება კი იმისათვის ხდებოდა აუცილებელი, რომ აღნიშნულ ციკლში გაერთიანებული ერთეულები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა პროტოტექსტთან დამოკიდებულების თვალსაზრისით: ყველა უშუალოდ არ უკავშირდებოდა პროტოგრაფს, ზოგი მათგანი ეფუძნებოდა არსენის ხელში გამოვლილ თხზულებებს.

ამგვარად, ფაქტობრივად ის გაირკვა, რომ წმ. ასურელი მამების ღვანლისადმი მიძღვნილ ციკლში უნდა გამოვყოთ თხზულებების ორი ჯგუფი: პროტოგრაფულ ტექსტებთან უშუალოდ დაკავშირებული რედაქციები და პროტოგრაფთან არსენისეული ტექსტების გაშუალებით დაკავშირებული რედაქციები.

ციკლის ისტორიის ძირითადი ფაქტების ცოდნა ისტორიკოსებს დაეხმარება კვლევის პროცესში ამ წყაროებისადმი სწორი პოზიცია დაიკავონ. ამავე დროს მიღებული შედეგი მნიშვნელოვანია ლიტერატურათმცოდნეთათვისაც: აღდგება ძველ საქართველოში მიმდინარე ლიტერატურული პროცესის საინტერესო ეპიზოდები.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა

აბულაძე, ძველი რედაქციები - აბულაძე ი., *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები*, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1955.

აბულაძე, ძეგლები I - *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (V-X სს.)*, ტექსტები დასაბეჭდად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, წიგნი I, თბილისი, 1963.

- აბულაძე, ძეგლები II** - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XV სს.), ტექსტები დასაბეჭდად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, წიგნი II, თბილისი, 1967.
- აბულაძე, ძეგლები III** - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, მეტაფრასული რედაქციები (XI-XIII სს.), ტექსტები დასაბეჭდად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, წიგნი III, თბილისი, 1971.
- აბულაძე, ძეგლები IV** - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, რედაქტორი ი. აბულაძე, წიგნი IV, თბილისი, 1968.
- ალექსიძე, აბიბოს ნეკრესელი** - ალექსიძე ზ., „აბიბოს ნეკრესელის მარტივლობის“ შესწავლის ტექსტოლოგიურ-ქრონოლოგიური საკითხები, კრ. „მრავალთავი. ფილოლოგიური და ისტორიული ძიებანი“, 1999, 18, გვ. 12-29.
- ალექსიძე, ახალი აღმოჩენები** - ახალი აღმოჩენები სინას მთაზე. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს ზ. ალექსიძემ, მ. შანიძემ, ლ. ხევსურიანმა და მ. ქავთარიამ, საბერძნეთის კულტურის სამინისტრო, სინური კვლევის ცენტრი, 2005.
- ალექსიძე, ასურელ მამათა დედაენა** - ალექსიძე ზ., ასურელ მამათა დედაენა და ეთნიკური წარმომავლობა, კრ. „მშვენიერება მოსილი სევდით. თამარ გამსახურდია 70“, საიუბილეო კრებული მიძღვნილი თამარ გამსახურდიას ნათელი ხსოვნისადმი, რედ. რ. მეტრეველი, თბილისი, 2007, გვ. 212-215.
- ანდრადი, ასურელები, სირიელები** - Andrade N., *Assyrians, Syrians and the Greek Language in the Late Hellenistic and Roman Imperial periods*, „Journal of Near Eastern Studies“, vol. 73, N 2 (October 2014), გვ. 299-317.
- გაბიძაშვილი, ე. ნ. არქეტიპები** - გაბიძაშვილი ე., ასურელ მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე. ნ. არქეტიპების ურთიერთმიმართებისათვის, ჟურნ. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, 1982, 4, გვ. 61-67.
- გოილაძე, ასურელ მამათა სამშობლო** - გოილაძე ვ., ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბილისი, 2002.
- გურანი, კონსტანტინოპოლი - ახალი იერუსალიმი** - Guran P., *The Constantinople –New Jerusalem at Crossing of sacred space and political theology*, in: „New Jerusalem. Hierotopy and Iconography of Sacred Spaces“, Edited by Alexei Lidov, Moscow, 2009, გვ. 35-55.
- კაკაბაძე, არქეტიპები** - კაკაბაძე ს., ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, კრ. „საისტორიო კრებული“, წიგნი I, დამატება, ტფილისი, 1928.

- კეკელიძე, სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ - კეკელიძე კ., საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I, თბილისი, 1956.
- კეკელიძე, ლიტერატურის ისტორია - კეკელიძე კ., კრბ-ში ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980.
- ლიმინგი, არქიტექტურა და ასკეტიზმი - Leeming E. L., *Architecture and asceticism. Cultural interreccion between Syria and Georgia in Late Antiquity* (Texts and Studies in Eastern Christianity, Chief editor K. Perry, vol. 13), Leiden-Boston, 2018, გვ. 9-17.
- მათითაშვილი, ქართული ბერმონაზვნობა - მათითაშვილი შ., ქართული ბერმონაზვნობა IV-VIII საუკუნეებში, დისერტაცია, თბილისი, 2018.
- მათითაშვილი, მონასტრები - Matitashvili S., *The monasteries founded by the thirteen Syrian fathers in Iberia. The rise of monasticism in sixth-century Georgia*, „Studies in Late Antiquity“, vol. 2, No. 1, Spring 2018, გვ. 4-39.
- მარტინ-იზარი, ცამეტი წმინდა სირიელი მამა - Martin-Hisard B., *Les Treize saints pères syriens. Formation et évolution d'une tradition hagiographique géorgienne (VI^e-XII^e siècles)*, Première partie, „Revue des Études Géorgiennes et Caucasiennes“, 1985, vol. 44, გვ. 141-168.
- მარტინ-იზარი, წმინდა სირიელი მამები. დანართი - Martin-Hisard B., *Les Treize saints pères syriens. Formation et évolution d'une tradition hagiographique géorgienne (VI^e-XII^e siècles)*, Appendice de la Première partie, „Revue des Études Géorgiennes et Caucasiennes“, 1986, vol. 45, გვ. 75-111.
- მერკვილაძე, ასურელი მამები - მერკვილაძე დ., ასურელი მამები (VI ს-ის სირიელი სასულიერო მოღვაწენი საქართველოში), წიგნი I, თბილისი, 2006.
- პეჩი, სირიელი მამები - Pätsch G., *Die Überlieferung der syrischen Väter*, „Bedi Kartlisa, revue de kartvelologie“, 1981, vol. 39, გვ. 153-175.
- პეჩი, მოთხრობა სირიელ მამებზე - Pätsch G., *Die Überlieferung der syrischen Väter*, „Bedi Kartlisa, revue de kartvelologie“, 1983, vol. 41, გვ. 311-318.
- საბინინი, საქართველოს სამოთხე - საქართველოს სამოთხე, სრული აღწერაი ლუანლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, შეკრებილი ქრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურლის სასულიერო აკადემიის კანდიდატის გ. (მ.) საბინინის მიერ, პეტერბურლი, 1882.
- სირაძე, რადსტვს ვარ - სირაძე რ., ვიცი რადსტვს ვარ, ჟურნ. „ცისკარი“, 1988, 10, გვ. 129-133.
- სხირტლაძე, ძველი ნუსხა - სხირტლაძე ზ., წმიდა შიო მღვიმელის ცხოვრების ძველი ნუსხა, თბილისი, 2014.
- ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955.

- ყუბანეიშვილი, *ქრესტომათია* - ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, წიგნი I, თბილისი, 1946.
- ჩხარტიშვილი, *წმ. იოვანე ზედაზნელი* - ჩხარტიშვილი მ., „წმ. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების“ რედაქციების ურთიერთმიმართება, კრ. „არისტოტელეს სახელობის ბერძნულ-ქართული უნივერსიტეტის შრომები“, 1994, 1 (2), გვ. 120-126.
- ჩხარტიშვილი, *წმ. აბიბოს ნეკრესელი* - ჩხარტიშვილი მ., „წმ. აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ ტექსტის ისტორიისათვის, კრ. „არისტოტელეს სახელობის ბერძნულ-ქართული უნივერსიტეტის შრომები“, 1994, 1 (2), გვ. 127-131.
- ჩხარტიშვილი, *ქართული ჰაგიოგრაფიის ანალიზი* - ჩხარტიშვილი მ., *ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი (IV-VII სს. ისტორიის ამსახველი ძეგლები)*, დისერტაცია, თბილისი, 1996.
- ჩხარტიშვილი, *წმ. დავით გარეჯელი* - ჩხარტიშვილი მ., *დავით გარეჯის ქვაბოვანი მონასტრის ისტორიის ჰაგიოგრაფიული წყაროები*, კრ. „ანალებქტა იბერიკა“, 2001, 1, გვ. 136-145, 290.
- ჩხარტიშვილი, *საქართველოს ეკლესიის წმინდანები* - Chkhartishvili M., *Non-native ecclesiastics of Georgian church: St. David from Gareji*, კრ. „მესხეთი“, IV, თბილისი-ახალციხე, 2001, გვ. 36-47.
- ჯანაშვილი, *ალწერა* - Джанашвили М., *Описание рукописей церковного музея*, Тифлис, 1902, წიგნი, III. 3.
- ჰაასი, *იოანე ზედაზნელი და სირიული ასკეტიზმი* - Haas Ch., *Ioane Zedazneli: A Georgian Saint in Syrian Ascetical Tradition*, in: P. Skinner, D. Tumanishvili and A. Shanshiashvili, eds. „Georgian Art in the Context of European and Asian Cultures“, Proceedings of the Vakhtang Beridze 1st international Symposium of Georgian Culture, თბილისი, 2009, გვ. 95-99.

Mariam Chkhartishvili

The Principal Facts of the History of the Hagiographical Cycle Devoted to the Activities of Monks from Assyria

Summary

A group of thirteen Assyrian Fathers came to Georgia in the middle the 6th century. It was lead by famous ascetic named John, later St. John of Zedazeni. The Assyrian missionaries played pivotal role in Georgian history: as a result of their activities the

remnants of paganism were eradicated and positions of Christianity were strengthened. During many centuries the monasteries founded by Assyrian Holy Fathers functioned as centers of Georgian spirituality and culture. Thus, it is not astonishing at all that the scholars have animate interest to this very topic and this interest has not faded for decades. Accordingly, there are many studies about this group of missionaries carried out by historians, philologists, cultural anthropologists, art historians and philosophers. However, many unsolved problems still remain, among which some are of fundamental importance: dating of the arrival of the Holy Fathers, identification of the denomination of Christianity that they adhered to; even the list of disciples of St. John of Zedazeni is not complied with due accuracy.

The reason for the less study of the problem should be sought in sources. In this case, we do not mean the absence of sources; quite the opposite. Texts that might be ascribed to this hagiographic cycle are available in sufficient quantities. The problem is that identifying an authentic text becomes very difficult.

The article proposes a source-critical investigation. The author reveals informative value of available redactions by presenting the full history of the cycle.

For accomplishing this aim, the author conducts comparative analysis of the texts and represents basic facts of the development of the cycle. As it turns out, the original texts were written by immediate disciple of Saint John of Zedazeni. His name was Martviri, later called John. In the 10th century the original texts were revised and renewed by Arsenius the Catholicos of Georgians.

The present paper describes the main characteristics of texts written by Martviri and Arsenius: Martviri composed texts with many factual details, while Arsenius omitted many of these details and expanded the narrative through including didactic discourses.

The research outcomes might be used by historians, since they will give them clear vision of informative value of various texts of hagiographic cycle in question. A philologist can also benefit from the present paper because it provides unique opportunity to observe very interesting literary processes in pre-modern Georgia.